

# ახალი განათლება

26 იანვარი – 1 თებერვალი 2017

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№2 (756) გაიშალა 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

**მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ახალი სტეპი**



საქართველოს მთავრობის სსლომაზა, 24 იანვარს, მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის ახალი სტეპი დაიწყო. მთავრობის მიერ განხილული ვერსია ქალაქი შავა „საქანომდებლო მასწავლებელთა მოქმედების შედეგად. სტეპის განახლებულ ვერსიაში მთელი რიგი ცვლილებები შევიდა:

- ⇒ რეგულაციების შემოქმედება – სტეპი ერთ დადგენილებად (№68) ჩამოყალიბდა და აღარ მოიცავს 9 წესს, რაც მის აღქმას და გაგებას აძარსობდა;
- ⇒ სტეპი აღარ მოიცავს კარიერის შეფასება/შეცვლის ნაწილს;
- ⇒ მასწავლებლებს მიეცათ მეტი არჩევანი;
- ⇒ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სტიმულირება საქალაქო თუ ქალაქარაზი აქტივობებით;
- ⇒ თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება;
- ⇒ სკოლების დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდა.

რა ტიპის სავალდებულო და დამატებითი აქტივობები დაემატა საფუნდამენტის მიხედვით, რა რაოდენობის კრედიტები უნდა დააბროვონ მასწავლებლებმა სტატუსის მინიჭებისთვის ან უკვე მინიჭებულის შესანარჩუნებლად – ამ და სხვა კონკრეტული ცვლილებების შესახებ დეტალური ინფორმაციას უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.



„სტარტაპ საქართველოს“ გაბარჯვებულმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა – ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტმა საზა ლუდუშაურმა, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა ზურაბ გომიაშვილმა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა სოფო სიმონიშვილმა – ხის ქართული სათამაშოების ბიზნესი დაიწყეს.

გვერდი 2

მწვენი თემა

## ბავშვის ინტერესები და სოციალური ნორმები

საკუთარი უფლებების სწავლება ბავშვისთვის ისეთივე მნიშვნელოვანი (ხანდახან მეტადაც) უნდა იყოს, როგორც ამა თუ იმ საგნის. ის ვერ გამოიყენებს ამ აკადემიურ ცოდნას, თუკი მისი უფლებები იქნება დარღვეული, თუ სექსუალური ძალადობის ან არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი იქნება. – ანა არბანაშვილი

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, მანდატური კარგად იცნობდნენ თავიანთ ვალდებულებებს. არსებობს ეთიკური სტანდარტები, ქცევის ნორმები, რომელთა დაცვა სავალდებულოა ყველასათვის, ვინც სკოლაში მუშაობს. თუმცა, სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნისათვის მხოლოდ მანდატურის სამსახური საკმარისი არაა და უფრო კომპლექსური მიდგომაა საჭირო. ძალადობის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია სკოლებში პოზიტიური, ბავშვისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა, მასწავლებლების მომზადება, ქცევის წესებისა და შიდა განაწესის შემუშავება, ბავშვების ჩართულობა, შესაბამისი სასწავლო პროგრამების შემუშავება და ა.შ. საჭიროა შემუშავდეს უსაფრთხო სკოლის კონცეფცია, სადაც მანდატურის სამსახურს თავისი როლი ექნება. სწორედ სკოლიდანვე უნდა სწავლობდეს ბავშვი, როგორ ჩამოყალიბდეს აქტიური მოქალაქედ, გათავისებული ჰქონდეს ტოლერანტობა, განსხვავებული აზრის პატივისცემა, პრობლემების მოგვარება არაძალადობრივი მეთოდებით. – მაია შურციკიძე



გვერდი 4

პროფესიული განათლება

## კვლავ მოუბვარებელი პრობლემების შესახებ

სავარაუდოდ, მომავალშიც, ალბათ, არაერთ რეზოლუციაში ჩაინერგება: „პროფესიული განათლების ინსტიტუტების კურსდამთავრებულები, ზოგადად, ვერ აკმაყოფილებენ შრომის ბაზრის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მოთხოვნებს“ და ამას ვერ უშველის კიდევ ერთი ჩანაწერი ახალ რეზოლუციაში, რომ ყოველმა მომდევნო პრემიერ-მინისტრმა უხელმძღვანელოს სახელმწიფო კომისიას, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სფეროში არსებული პრობლემების შემსწავლელი წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დასმულ საკითხებსა თუ პრობლემებს მოაგვარებს.

გვერდი 5

პროფესიული განვითარება

## ყოველი გაკვეთილი სიხლის მომტანი უნდა იყოს

რას ნიშნავს ვიყო კარგი მასწავლებელი? ჩემი აზრით, კარგ მასწავლებლობას არ განსაზღვრავს მხოლოდ საგნის ცოდნა, მთავარია მიდგომა, კეთილგანწყობა იმ საქმისადმი, რასაც ვაკეთებთ და შემოქმედებითობა. მე არ ვარ იდეალური მასწავლებელი, ყოველდღე ვსწავლობ, ვიცვლები, ვფიქრობ და განვიცდი... თუმცა მივხვდი, რომ მასწავლებლობა ჩემთვის მხოლოდ პროფესია არ არის, არამედ ცხოვრების სტილია! – სალომე შირია

გვერდი 8

თვალსაზრისი

## ტერმინ „ულუბოს“ გაგებისათვის

საბჭოთა პერიოდში, სასულიერო ცხოვრებას ჩამოშორებული ადამიანები, ობიექტური მიზეზების გამო, ერიდებოდნენ საეკლესიო თემებზე საუბარს, ვინც იცოდა საქმის ნამდვილი ვითარება, კომუნისტური რეჟიმის გამო გაჩუმებას არჩევდა. ახლა ჩემი მიზანი სწორედ ისაა, დაეხმებოდეთ, რომ ულუბო ნამდვილად საქართველოშია და არა მცირე აზიაში. – ზაზია ხაჩიძე



ფეხავე თემა

# ბავშვის ინტერესები და სოციალური ნორმები

## ლალი ჯელაძე

გასულ კვირას საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია იმერეთის ერთ-ერთი სოფლის სკოლის 15 წლის მოსწავლის ორსულობამ. ფაქტი განსაკუთრებით იმის გამო მოქცა ყურადღების ცენტრში, რომ გოგონასთან სექსუალური კავშირი იმავე სკოლის 40 წლის მანდატურმა დაამყარა. გოგონა ხუთი თვის ორსულია, ამის შესახებ სკოლის დირექტორს ექიმმა შეატყობინა. ოჯახი კი ჩივილს არ აპირებს, ვინაიდან ყოფილი მანდატური გოგონაზე დაქორწინების პირობას დებს. რომ არა ფაქტის საქვეყნოდ გახმაურება, როგორც ჩანს, ყველაფერი მხარეების გარეგნობით დასრულდებოდა და ერთი „ტრადიციული ქართული ოჯახის“ შექმნით დაგვირგვინდებოდა. ასე გადაარჩენდნენ იმერეთის ერთ-ერთ სოფელში 15 წლის ქალიშვილის სახელის შებღალავს მშობლები, რომლებიც, რეალურად მოძალადე მანდატურის პირსწორად უფრო გვევლინებიან, ვიდრე გოგონას ინტერესებისა და უფლებების დამცველებად. არადა, მანდატურიც სწორედ ამ საქმის მსახური, მას სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნა და მოსწავლის ძალადობისაგან დაცვა ევალება.

მანდატური 40 წლისაა და უკვე რამდენიმე წელია სკოლაში მუშაობს. 15 წლის მოსწავლე კი აღნიშნულ სკოლაში ერთი წლის წინ გადავიდა. სკოლიდან უკვე განთავისუფლებული მანდატურის მიმართ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლითაა აღძრული, რაც თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან სექსუალური კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებას გულისხმობს.

„მანდატური, რომელმაც 15 წლის მოსწავლესთან სექსობრივი კავშირი დაამყარა, აუცილებლად დაისჯება. – აცხადებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა – მე ძალიან ვნუხვარ ამ შემთხვევის გამო. ეს ადამიანი აღარ მუშაობს ჩვენს სამსახურში და მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებული. თუმცა, ამის გამო, ჩვენ მანდატურის მუდმივს ჩრდილი არ უნდა მივაყენოთ. დასჯა აუცილებლად მოხდება, სისხლის სამართლის კოდექსს ცოლად მოყვანა-არმოყვანა არ აინტერესებს.“

ამ შემთხვევას აღმაშფოთებელ ფაქტს უწოდებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური და ამბობს, რომ სხვაგვარი შეფასება მას არ შეიძლება მიეცეს. მთავარია, დროულად მოხდეს რეაგირება, რადგანაც მისი თქმით, ერთ-ერთი პრევენციული მექანიზმი, სწორედ დროული და სწორი რეაგირებაა.

**სხირად საზოგადოება უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რას იტყვის მისამდე პირი და საერთოდ არ ფიქრობს, რა არის ბავშვის ინტერესები. არადა უპირველესი სწორედ მისი ინტერესებია დაცვა, მით უფრო, 15 წლის გოგონასი, რომელიც ისედაც ტრავმირებულია და იძულებულია ქორწინებით კიდევ ერთხელ ძალადობენ მასზე. ჩვენი ორგანიზაციისთვის ორივე ერთნაირად მიუღებელია, ამიტომაც აუცილებელია ძალადობის მსხვერპლთან ბავშვთა დაცვის სახელმწიფო უწყებებმა იმუშაონ და გოგონას ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია ჩაუტარონ. სასურველია, მასთან სოციალურმა მუშაკებმა იმუშაოს, ასევე სა-**

ლოვანია, რადგანაც მშობლებს უნდა ჰქონდეთ სიმშვიდის განცდა, რომ მათი შვილები სკოლაში დაცულები არიან და უსაფრთხო გარემო აქვთ.“

**ანა არგანაშვილი**, „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ პროექტის მენეჯერი: „არასრულწლოვანთან სექსობრივი კავშირი იმ მოცემულობით, როგორც კონკრეტული ფაქტით ვიხილეთ, სისხლის სამართლის დანაშაულია და, შესაბამისად, რა თქმა უნდა, აუცილებელი იყო (და ასეც მოხდა) გამოძიების დაწყება. ამას სხვა ახსნა-განმარტება არ სჭირდება, საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო სტანდარტით, შავით თეთრზეა დაწერილი.“

რა ვალდებულებები აქვთ, ამ შემთხვევაში, სახელმწიფო უწყებებს – სკოლას, განათლების სამინისტროს თუ სხვ. როდესაც საქმე გვაქვს საგარეო დანაშაულთან, მათი ერთადერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ვალდებულებაა სამართალდამცავ ორგანოებთან დაკავშირება. ყველა სხვა ჩარევა, რომელიც, ასე ვთქვათ, მიზნად ისახავს გაუზიარებლად დატოვოს ეს ფაქტი თუ „რბილად მოაგვაროს“, ეს იქნება როგორც კანონმდებლობის, ისე ბავშვის უფლებების დარღვევა. ამიტომ, ალტერნატიული არჩევანი არ არსებობს. სამსუხაროა, რომ თავიანთ ვალდებულებებში სახელმწიფო უწყებები გაცნობიერებული არ არიან და, შესაბამისად, მათი მხრიდან არ ხდება ხოლმე ერთმნიშვნელოვანი და რადიკალური გადაწყვეტილებების მიღება.

აუცილებლად მინდა, საზოგადოების დამოკიდებულებას შევხედო და ვითხრა, რომ ერთი პრობლემაა, რომ ბავშვზე ძალადობა განხორციელდა, მეორე, არანაკლებ პრობლემაა ჩვენს ორგანიზაციას მიაჩნია ის, რომ ამის შემდეგ, ფაქტობრივად, არასრულწლოვანი შეიძლება ნაადრევი ქორწინების მსხვერპლი გამხდარიყო და პირველ დანაშაულს მეორე დანაშაული დაემატებოდა. შეგებულად დაირღვეოდა მისი კიდევ ერთი უფლება და შესაძლოა, ის იძულებით გახდეს სამუდამო მსხვერპლი. ხშირად საზოგადოება უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რას იტყვის მესამე პირი და საერთოდ არ ფიქრობს, რა არის ბავშვის ინტერესები. არადა უპირველესი სწორედ მისი ინტერესების დაცვაა, მით უფრო, 15 წლის გოგონასი, რომელიც ისედაც ტრავმირებულია და იძულებულია ქორწინებით კიდევ ერთხელ ძალადობენ მასზე. ჩვენი ორგანიზაციისთვის ორივე ერთნაირად მიუღებელია, ამიტომაც აუცილებელია ძალადობის მსხვერპლთან ბავშვთა დაცვის სახელმწიფო უწყებებმა იმუშაონ და გოგონას ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია ჩაუტარონ. სასურველია, მასთან სოციალურმა მუშაკებმა იმუშაოს, ასევე სა-

არის სასურველი გოგოს გათხოვება, რადგან, როგორც წესი, ამას ძალიან ბევრი პრობლემა მოჰყვება ხოლმე. „ერთია, მე რა მიმაჩნია სწორად და მეორე, ის სოციალური გარემო, რომელშიც ბავშვი ცხოვრობს. კანონის გათვალისწინებით, როგორ დასრულდება ეს ქეისი არ ვიცი, მაგრამ საქართველოში, განსაკუთრებით პერიფერიაში მცხოვრებისთვის როგორ სჯობს, კიდევ საკითხავია. საგარეოდ, ის საზოგადოების მხრიდან წნეხში მოჰყვება იმის გამო, რომ შვილს ქორწინების და მამის გარეშე გააჩენს. ზოგადად, შემძლია ვითხრა, რომ კატეგორიულად ვენინააღმდეგები ნაადრევი ქორწინებას, ბოლო და ბოლოს მე-14 საუკუნეში ხომ არ ვცხოვრობთ. ეს შემთხვევა კი, ფიქრობ, მხოლოდ ძალადობის ფაქტად კი არა, პედოფილიის ფაქტადაც შეიძლება შევაფასოთ.“

გარდა იმისა, რომ კონკრეტული შემთხვევა ძალადობაა და ეს სერიოზული დანაშაულია, როგორც ჩანს, არასრულწლოვანთა ქორწინებაც უკვე სერიოზულ თავსატეხად იქცა, ადრეული ქორწინების მიმართ ქართული საზოგადოება გულგრილი არ არის. მინისტრის თქმით, ძალიან სამსუხაროა საზოგადოების დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი. „ადრეულ ასაკში ქორწინების მიმართ საზოგადოება მინც რჩება ტოლერანტული, რაც პრინციპში კარგი არ არის. ჩვენ უნდა შევეცადოთ განათლებით, პირველ რიგში, ოჯახებთან და საზოგადოებასთან მუშაობით, ასეთ ადრეულ ასაკში ქორწინების მიუღებლობა დავანახოთ,“ – აღნიშნა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

„საკუთარი უფლებების სწავლება ბავშვისთვის ისეთივე მნიშვნელოვანი (ხანდახან მეტადაც) უნდა იყოს, როგორც ამა თუ იმ საგნის. ის ვერ გამოიყენებს ამ აკადემიურ ცოდნას, თუკი მისი უფლებები იქნება დარღვეული, თუ სექსუალური ძალადობის ან არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი იქნება.“ – ამბობს ანა არგანაშვილი.

**როგორ იცავს სახელმწიფო ბავშვებს ძალადობისგან და არის თუ არა ეფექტური მათი დაცვის მიქანისგან, როგორ მუშაობს მანდატურის სამსახური სკოლაში, ამის შესახებ გვისაუბრება მინა შურციკი, იუნისეფის კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელი**

– პირველ რიგში, თავად ფაქტს შევაფასებ, სრულწლოვანის მხრიდან არასრულწლოვანთან სექსუალური კავშირი, თუნდაც მისი თანხმობით, დაუშვებელია და მიჩნეულია ბავშვის მიმართ ძალადობად. ნებისმიერი ქმედება 16 წლამდე არასრულწლოვანის მიმართ სრულწლოვანის მხრიდან დასჯადია სისხლის სამართლის კანონმდებლობით, თუნდაც ეს არ შეიცავდეს ძალადობის ელემენტებს.

განსაკუთრებით მძიმეა, თუ ძალადობა იმ პირის მხრიდანაა, რომელსაც თავად ევალება ამგვარი ფაქტების გამოვლენა, მათზე რეაგირება და ბავშვის დაცვა ძალადობისაგან. მანდატურის სამსახური ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტია და აკისრია ამგვარი ფაქტების გამოვლენის და გადამისამართების პროცედურა.

კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვის შესახებ, რამაც შექმნა ბავშვების ძალადობისაგან დაცვის სამართლებრივი ჩარჩო. გარდა ამისა, ეროვნულ დონეზე, 2010 წლიდან არსებობს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურები, რომლის მიზანია ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისგან დაცვის ხელშეწყობა, რეფერირების პროცედურების კოორდინირებული და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების გზით. აღნიშნული მექანიზმი ავალდებულებს ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებს, მოახდინონ ბავშვთა მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფაქტის იდენტიფიცირება და მასზე რეაგირება. 2016 წლის სექტემბერში დამტკიცდა მთავრობის ახალი დადგენილება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესახებ, რომლის თანახმადაც გაფართოვდა აღნიშნულ მექანიზმში მონაწილე სახელმწიფო უწყებების არეალი და კერძოდ, მან მოიცვა ყველა სახელმწიფო უწყება, მანდატურის სამსახური, საჯარო და

ჭიროა მუშაობა მშობლებთანაც, რადგან მათ კარგად უნდა იცოდნენ, რა ვალდებულებები აქვთ და როგორ უნდა დაიცვან თავიანთი შვილის უფლებები. კონკრეტულ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად, ოჯახი თავდაცვ გვევლინება მოძალადედ, რადგანაც იძულებითი ქორწინების მომზრეა და უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რას იტყვის საზოგადოება და არა იმას, რა არის ბავშვის ინტერესი. ისიც სამსუხაროა, რომ მათთვის ცნობილი არ არის ბავშვის რა უფლებებს არღვევს ადრეული ქორწინება, რომ ამით მათი შვილის ჯანმრთელობის, ასევე განათლების, პროფესიის არჩევას თუ სხვა უფლება ირღვევა. ამიტომ, გამოსავალი იძულებით ქორწინებაში მოიფიქრა. მაქსიმალურად უნდა მოხდეს, ერთი მხრივ, მართლმსაჯულების

**უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, მანდატურები კარგად იცნობდნენ თავიანთ ვალდებულებებს. არსებობს ეთიკური სტანდარტები, ძველის ნორმები, რომელთა დაცვა სავალდებულოა ყველასათვის, ვინც სკოლაში მუშაობს. თუმცა, სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნისათვის მხოლოდ მანდატურის სამსახური საკმარისი არაა და უფრო კომპლექსური მიდგომაა საჭირო. ბავშვი უნდა იცნოს ნებისმიერი ქმედების ცნებები და ყველა ძალისხმევა იძითქან უნდა იყოს მიმართული, რომ მისი ინტერესები საუკეთესოდ იყოს დაცული.**

დღევანდელი მონაცემებით, 1300-მდე მანდატური 300 ათასზე მეტ ბავშვს ემსახურება 400-ზე მეტ სკოლაში და მათზე მოთხოვნა დღით დღე იზრდება. შეიძლება იტყვიან ისტორიის მქონე მანდატურის სამსახურისთვის ასეთი სერიოზული ტვიზი დარღვევა პირველია და მას მინისტრის მოადგილე „გამოწავის კიდულ შემთხვევას“ უწოდებს. მისი თქმით, ეს საქმე ერთ-ერთი სასწავლო ქეისი გახდება მანდატურების მოსამზადებელ კურსშიც. რაც შეეხება მანდატურის სამსახურის განვითარებას, ლია გიგაური მიიჩნევს, რომ შეუძლებელია მისი განვითარება განგრდეს, რადგანაც გამოწვევებიც ყოველდღიურად სხვადასხვაა. „მანდატურები მუდმივად გადაიან სხვადასხვა ტვიზისა და დონის ტრენინგებს და ამაში აქტიურადაა ჩართული მანდატურის მსოფლიო ორგანიზაცია. ისინი ჩვენს მანდატურებს ტრენინგებს უტარებენ. თუმცა, რასაკვირველია, სამსახური კიდევ უფრო მეტად უნდა განვითარდეს და მეტად უნდა იყოს ორიენტირებული მოსწავლის უფლებების დაცვაზე, ამასთანავე მანდატური თვითონ უნდა იყოს განმანათლებელი უფლებებთან დაკავშირებით მასწავლებლისთვის, მოსწავლისთვის და მშობლისთვის. სწორედ მან უნდა მოახდინოს ძალადობის მსხვერპლი ბავშვის პირველი იდენტიფიცირება და დროული რეაგირება. ასევე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მანდატურის მხრიდან ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების იდენტიფიცირებას და დროულ და სწორ რეფერირებას.“

ბუნებრივად გაჩნდა კითხვა, რამდენად კარგად ართმევს თავს მანდატურის სამსახური იმ მნიშვნელოვან პასუხისმგებლობას, რომელიც მას ეკისრება და ვინ უნდა კონტროლს ამ ადამიანების საქმიანობას? როგორც ირკვევა, მანდატურის სამსახურის მონიტორინგი რამდენიმე დონეზე მიმდინარეობს. მანდატური ასრულებს თუ არა დაკისრებულ ფუნქციას (რა თქმა უნდა, ალბათ, ასეთი გამოწვევის შემთხვევებიც იარსებებს) ამაზე პასუხისმგებელი კადრები კი არაა და ეს სკოლის დირექტორია. ასევე, თვითონ მანდატურის სამსახურის სააგენტო, კოორდინატორების საშუალებით, მუდმივ მონიტორინგს აწარმოებს.

იქონიებს თუ არა გავლენას კონკრეტული შემთხვევა მანდატურებისადამი არსებულ ნდობაზე, ამის შესახებ ლია გიგაური ამბობს, რომ: „ამ სამსახურს ნდობა ნამდვილად აქვს და ცალკეული გამოწვევის შემთხვევები არ განაპირობებს ნეგატიურ დამოკიდებულებას. რომ არა ნდობის დიდი ფაქტორი, მაშინ არ იქნებოდა ასეთი დიდი მოთხოვნა სკოლის, მშობლის თუ დირექციის მხრიდან. თავისთავად, ნდობა ძალიან მნიშვნე-

ჩარევა და, მეორე მხრივ, ბავშვზე ზრუნვა – რეაბილიტაცია, რე-სოციალიზაცია, ის ნორმალურ ცხოვრებას უნდა დაეუბრუნოთ. ამდენად, მომდარის შემდეგ უმთავრესი დანაშაულზე რეაგირება და ბავშვის ინტერესების დაცვა.“

რა რეაგირება მოახდინა მანდატურის სამსახურთან არსებულმა ფსიქოლოგიურმა ცენტრმა, გაუჩნდა თუ არა გოგონას დახმარება – ამის შესახებ მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგის ცენტრის ხელმძღვანელმა **ლევან ზარდალაშვილმა** განაცხადა, რომ „ფსიქოლოგიური სამსახური, მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება ჩაერიოს, როცა მას მომართავენ. აქამდე კი, ჯერ არავის მოუმართავს. ფსიქოლოგიური სამსახური მთლიანად ნებაყოფლობითია, აქედან გამომდინარე, ფსიქოლოგი ძალით ვერავისთან მივა. გვიკვირს კიდევ, დახმარებისთვის ჯერ არავინ რომ არ მოგვმართა – არც ყოფილმა მანდატურმა და არც ბავშვის მხრიდან არავინ.“ თუმცა მისი, როგორც ფსიქოლოგის, აზრით არა მხოლოდ კონკრეტულ, არამედ ნებისმიერ შემთხვევაში ასეთი ასაკში ქორწინება გაუმართლებელია და მისი სუბიექტური აზრით, 25 წლამდეც არ

კერძო საგანმანათლებლო, სამედიცინო და ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებები, მუნიციპალიტეტები.

ყველა დაწესებულება და ორგანო, რომელსაც შეეხება აქვს ბავშვებთან ან/და მათ ოჯახებთან ან იმ გარემოსთან, სადაც ბავშვი იმყოფება, ვალდებულია, ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, შეატყობინოს სოციალური მომსახურების სააგენტოს და აწარმოოს შემთხვევის მართვა დადგენილების შესაბამისად. ამავე დროს, მათ უნდა შეიმუშაონ შესაბამისი შიდა ინსტიტუტები. სოციალური მომსახურების სააგენტო უზრუნველყოფს ძალადობის ფაქტების გამოვლენას, ძალადობის შემთხვევის მართვას, პირების კონსულტირებას, ბავშვისთვის დაბადების რეგისტრაციის ან/და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების, მათ შორის, დროებითი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მოპოვების/მიღების მიზნით დახმარებას. სააგენტო, აგრეთვე, გადაუდებელ შემთხვევაში, უკიდურესი ზომის სახით, უზრუნველყოფს ოჯახიდან ბავშვის გამოყვანის ან მოძალადისაგან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას. იუნისეფის კვლევებით გამოვლინდა, რომ რეფერირების მე-

მეცნიერება

ქანიზმში ჩართული პროფესიონალები კარგად არ იცნობენ საკუთარ ვალდებულებებს. მაგ. სკოლებში მომუშავე პროფესიონალები (მასწავლებლების და მანდატურების) 46%-მა განაცხადა, რომ ძალადობის ფაქტების შესახებ შეტყობინება საჭიროა მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ძალადობა მძიმე ფორმისაა და რამდენჯერმე განმეორდა. ასევე, ბავშვთა დაცვის სფეროში მომუშავე პროფესიონალები (მასწავლებლების, მანდატურების და სოციალური მუშაკების) 60% ფიქრობს, რომ ოჯახის შიდა საქმეები მხოლოდ ამ ოჯახის პირადი საქმეა და სხვები მასში არ უნდა ერეოდნენ. პროფესიონალები ვალდებულები არიან, მოახდინონ რეაგირება ძალადობის ფაქტებზე. დანესა ადმინისტრაციული სასჯელები მათთვის, ვინც არ მოახდენს რეაგირებას.

როცა მოძალადეს როლში სწორედ მისი დამცველი გვევლინება, როგორ ფიქრობთ, უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური სკოლაში უსაფრთხო გარემოს?

– უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, მანდატურები კარგად იცნობდნენ თავიანთ ვალდებულებებს. არსებობს ეთიკური სტანდარტები, ქცევის ნორმები, რომელთა დაცვა სავალდებულოა ყველასათვის, ვინც სკოლაში მუშაობს. თუმცა, სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნისათვის მხოლოდ მანდატურის სამსახური საკმარისი არაა და უფრო კომპლექსური მიდგომაა საჭირო. ძალადობის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია სკოლებში პოზიტიური, ბავშვისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა, მასწავლებლების მომზადება, ქცევის წესებისა და შიდა განაწესის შემუშავება, ბავშვების ჩართულობა, შესაბამისი სასწავლო პროგრამების შემუშავება და ა.შ. საჭიროა შემუშავდეს უსაფრთხო სკოლის კონცეფცია, სადაც მანდატურის სამსახურს თავისი როლი ექნება. სწორედ სკოლიდანვე უნდა სწავლობდეს ბავშვი, როგორ ჩამოყალიბდეს აქტიურ მოქალაქედ, გათავისებულ

ჰქონდეს ტოლერანტობა, განსხვავებული აზრის პატივისცემა, პრობლემების მოგვარება არაძალადობრივი მეთოდებით.

რა აქცენტები ან რა ტიპის ღონისძიებების გატარება აუცილებელი მსგავსი ფაქტების თავიდან ასაცილებლად?

– საჭიროა, პროფესიონალები უკეთ იცნენ მომზადებული და უკეთ იყოს ფორმულირებული მათი ვალდებულებები რეგულირების პროცედურებთან დაკავშირებით და, პასუხისმგებლობის შეუარსებლობის შემთხვევაში, მიღებული იქნეს ზომები.

მთავარია, რომ ბავშვი დაცული იყოს ნებისმიერი სახის ძალადობისაგან და ჰქონდეს ინფორმაცია, თუ რა არის ძალადობა, რომ მის მიმართ კონკრეტული ქმედება სრულწლოვნის მხრიდან იქნება ძალადობა, რაც დაუშვებელია. მნიშვნელოვანია ბავშვთა მიერ ინფორმაციის მიღება სექსუალური ძალადობის, ასევე საკუთარი თავის დაცვის საშუალებათა შესახებ, მათი განვითარების დონის შესაბამისად.

ბავშვი უნდა იყოს ნებისმიერი ქმედების ცენტრში და ყველა ძალისხმევა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ მისი ინტერესები საუკეთესოდ იყოს დაცული. ბავშვი დაცული უნდა იყოს სისტემის მხრიდან – კანონმდებლობა, ინსტიტუციონალური მექანიზმები, სკოლა, მანდატურის სამსახური და ყველა უწყება, რომლებსაც შეხება აქვს ბავშვთან, პროფესიონალები უნდა იცნობდნენ თავიანთ ვალდებულებებს და ახდენდნენ რეაგირებას.

იმისთვის, რომ ამ ინსტიტუციურმა მექანიზმმა სათანადოდ იმუშაოს, უმნიშვნელოვანესია, ყველამ ვიაქტიუროთ და ამოვიღოთ ხმა, როდესაც ვხედავთ ძალადობას. საზოგადოებისთვის მიუღებელი უნდა იყოს ბავშვის მიმართ ძალადობა. იმაზეც უნდა დავინყუთ დისკუსია, თუ რა ინვესტაციაა ძალადობას, რა არის ამის მიზეზები. ამჟამად ჩვენ შედეგებზე ვსაუბრობთ, მაგრამ ასევე უნდა ვისაუბროთ მიზეზებზე. საზოგადოებაში არსებული სოციალური ნორმები უნდა შეიცვალოს.

– ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ოჯახი, გარკვეულწილად, არის თუ არა მეორე მოძალადის როლში, როდესაც გამოსავალს ქორწინებაში ხედავს?

– ეს მიუღებელია. სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ქორწინების ასაკი არის 18 წელი. შესაბამისად, 18 წლამდე არასრულწლოვნის ქორწინება აკრძალულია. ადრეული ქორწინებაც ბავშვის მიმართ ძალადობის ფორმაა. გარდა ამისა, არავის აქვს უფლება, აიძულოს ბავშვი, დაქორწინდეს. სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების თანახმად, ნებისმიერი პირის, მათ შორის, მშობლების მხრიდან ბავშვის იძულება ქორწინებაზე ან ნებისმიერ არარეგისტრირებულ კავშირზე დასჯადია.

ადრეული ქორწინება საზიანო გავლენას ახდენს გოგონების განვითარებაზე: შეიძლება ჰქონდეთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გართულებები ორსულობისას და მშობიარობისას; ერთმევათ განათლების მიღების შესაძლებლობა, ტოვებენ სკოლას, რაც მათ ართმევს უფლებას საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება მოახდინონ, დამოუკიდებელი გახდნენ, საკუთარი თავის რწმენა მოიპოვონ და თავად მიიღონ გადაწყვეტილებები თავიანთ ცხოვრებაზე; ნაკლებია დასაქმების პერსპექტივა; ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლი ოჯახის წევრების მხრიდან, რამდენადაც არ შეუძლიათ თავის დაცვა. ასე რომ, მნიშვნელოვანია, გოგონებს ადრეულ ასაკში ჰქონდეთ განათლების მიღების და განვითარების შესაძლებლობა და თავად გადაწყვიტონ, როდის და როგორ შექმნან ოჯახი.

სოციალური ნორმები და მავნე ტრადიციები გადასახედა, საზოგადოებაში აქტიური დისკუსია უნდა დაიწყოს მავნე ტრადიციებისა და სოციალური ნორმების შესაცვლელად.

**გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი**  
 აცხადებს ღია კონკურსს  
 აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

**საკუთების მიღება ინარმოვს:**  
 2017 წლის 01 მარტიდან  
 2017 წლის 10 მარტის ჩათვლით,  
 ყოველდღიურად, შაბათ-კვირის გარდა,  
 10:00 საათიდან 16:00 საათამდე.

**კონკურსი ჩატარდება:**  
 2017 წლის 20 მარტს.  
 კონკურსი დასრულდება და  
 საბოლოო შედეგები  
 გამოქვეყნდება 2017 წლის 24 მარტს.

დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ უნივერსიტეტის ვებგვერდზე – [www.gttu.edu.ge](http://www.gttu.edu.ge)  
 ან დაგვიკავშირდით შემდეგ ნომრებზე: 2 66 15 12; 2 24 65 91

ინფორმაცია

კვლევების მოსმენა, დაფასება და კატეგორიზაცია თითოეული ჩვენგანის ვალია

„მინდა მადლობა გადავუხადო პედაგოგებს, რომლებიც ათეულობით წელია სკოლის განვითარებას და ღირსეული მომავალი თაობის აღზრდას ემსახურებიან. ეს ის თაობაა, რომელთაც უძრაობის პერიოდში სკოლები გადაარჩინეს და ერთი დღითაც არ შეუნყვებიათ სასწავლო პროცესი. ეს ადამიანები დღესაც აქტიურები არიან და დიდ ინტერესს იჩენენ სიახლეების მიმართ. მათი მოსმენა, დაფასება და პატივისცემა თითოეული ჩვენგანის ვალია.“ – განაცხადა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ ღვანლმოსილ პედაგოგებთან შეხვედრაზე.

ახალი წლიდან განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა განაახლა შეხვედრები პედაგოგებთან და სკოლის დირექტორებთან. ბათუმელ პედაგოგებთან შეხვედრისას მინისტრმა

ყურადღება გაამახვილა ბათუმის, როგორც განათლების სისტემის ერთ-ერთი დასაყრდენი ქალაქის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ ბათუმში საუკეთესო სკოლები და საუკეთესო პედაგოგები. „ჩემი მუშაობის 8-მდე თვის განმავლობაში, მთელ საქართველოში, 15 ათასამდე პედაგოგს შევხვდი. ვცდილობ, ყველა სიახლე, რაც იგეგმება ზოგადი განათლების სისტემაში, პედაგოგებმა ჩემგან გაიგონ, ასევე, მსურს მათგან გავიგო მათი პრობლემები, შეკითხვები, რა აწუხებთ და რა არის მოსაგვარებელი. დღევანდელი შეხვედრა ბათუმელ პედაგოგებთან ჩემთვის იმითაც იყო საინტერესო, რომ ქალბატონ მინისტრთან ერთად ჩვენი პირველი ერთობლივი შეხვედრაა. ეს შეხვედრა ამ მხრივაც აღსანიშნავია. მგონია, რომ მომავალში პროდუქტიული თანამშრომლობა გვექნება.“

გაიმართა მორიგი სამუშაო შეხვედრა თბილისის საჯარო და კერძო სკოლების დირექტორთა საბჭოს წევრებთან. სხდომა ალექსანდრე ჯეჯელავამ გახსნა და საბჭოს წევრებს მთავრობის ახალი ინიციატივა გააცნო, რომელიც ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასა და ხელშეწყობას გულისხმობს.

„ძალიან მნიშვნელოვანია ამ ინიციატივის გააზრება მთლიანად განათლების რეფორმის კონტექსტში, იმიტომ რომ, ხანდახან, როცა ჩვენ სკოლაზე ვსაუბრობთ ან უმაღლესზე, გვახსენდება მხოლოდ აკადემიური მდგენელი, ასე ვთქვათ, ფიზიკის, ან ქართულის, ან უცხო ენის სწავლა და ხშირად ყველა გვაგონდება (და მგონი ჩვენს სისტემაშიც დაავიწყდა), რომ ადამიანი თუ არ იქნა ჯანმრთელად და ჯანსაღი, დანარჩენ აქტივებს, ფაქტობრივად, აზრი არ აქვს. სტატისტიკა, ამ მხრივ, საკმაოდ გულდასაწყვეტია. ბევრი კვლევა ჩატარდა, რომლებმაც აჩვენა – ძალიან მცირე პროცენტია ისეთი ბავშვების, ვინც ყოველ კვირა ჩართულია ფიზიკურ აქტივობაში. ჩვენი შედეგები, ამ მოწყობილობების – კომპიუტერების, აიფონების, აიპედების და სხვ. – ფონზე, არც ეზოში ჩადიან და არც დიდად აქტიურობენ სკოლასა თუ სახლში. სწორედ ამის შეცვლა განვიზრახეთ ამ ახალი ინიციატივით

და ვაპირებთ, ელიტარულ სპორტზე კი არ ვაკეთებთ აქცენტს, არამედ მასობრივზე. ვეძებთ სპორტის ისეთ სახეობებს, სადაც არის საშუალება, რომ არა ათობით ბავშვი ჩაერთოს, არამედ ასობით და ათასობით.

თუ დაველოდებით ინფრასტრუქტურის სრულად მონერგვას, ალბათ კიდევ წლებს დავკარგავთ, სანამ ჩვენი ბავშვები დაიწყებენ აქტივობას. ჩვენ ჩავატარეთ მოსამზადებელი სამუშაო, ვიმუშავეთ ფეხბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის, რაგბის ფედერაციებთან, პრაქტიკულად ყველა სხვა ფედერაციასთანაც ვმუშაობთ და თითოეულ მათგანს ვუსახავთ ამოცანას – რა შეიძლება გაკეთდეს მინიმალური ინვენტარით და მინიმალური ინფრასტრუქტურით. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ არ ვაპირებთ ინფრასტრუქტურის მონერგვას, დარბაზები შენდება-რემონტდება, მაგრამ ჩვენ ვეჭირვება ისეთი აქტივობა, რომელიც ყველა გარემოში და ყველა რეალობაში შესაძლებელია. არსებობს სპორტის ნაირსახეობები, (იგივე ხელბურთის, ფეხბურთის, ფრენბურთის, რაგბის და სხვ.), რომლებიც არ მოითხოვს სპეციფიკურ ინფრასტრუქტურას.“

სამუშაო შეხვედრაზე საბჭოს წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები წარმოადგინეს, გაიმართა მსჯელობა თითოეულ მათგანზე და მათი გადაჭრის გზებზე. რამდენიმე დღის წინ მინისტრი ოზურგეთს ეწვია და იქაურ პედაგოგებსა და დირექტორებს შეხვდა. „მქონდა კიდევ ერთი ძალიან პროდუქტიული და სასიამოვნო შეხვედრა. ვისაუბრეთ პროფესიული განვითარების სქემაზე, ინფრასტრუქტურაზე, სასწავლო პროგრამებზე, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაზე, ფაქტობრივად, ყველა იმ საკითხზე, რაც აქტიუალური და საინტერესოა ჩვენი პედაგოგებისთვის. ისინი არიან გმირები და მათ ზურგზე გადავიდა და კიდევ გადავიდა საქართველოს განვითარების მრავალი ეტაპი. ძალიან მიხარია, რომ საშუალება მომეცა, ამ არაჩვეულებრივ ქალაქში ამ არაჩვეულებრივ ხალხს შეხვედროდი, მადლობა მეთქვა და გვესაუბრა მომავალ გეგმებზე.“



პროფესიული განათლება

# კვლევითი მოუბვარებელი პრობლემების შესახებ

## ანა ფირცხალაიშვილი

განათლებისა და მეცნიერების სფეროში არსებული პრობლემების შემსწავლელი წარმომადგენლობითი საზოგადოებრივი საბჭო, პროფესიული განათლების პროფკავშირთან ერთად, მორიგ სხდომაზე შეიკრიბა. „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისა და დასაქმების უზრუნველყოფისათვის (პრობლემები და განვითარების პერსპექტივები – გერმანული დუალური მოდელი)“. ამ საკითხის ირგვლივ იმსჯელეს და გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები საბჭოს წევრებმა, მონვეულმა სტუმრებმა მეცნიერებთა აკადემიიდან, პარლამენტიდან, პროფესიული სასწავლებლებიდან.

სხდომას მისი თავმჯდომარე, პროფესორი რამაზ სუროძე უძღვებოდა, რომელმაც ისაუბრა პროფესიული განათლების როლზე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში და, საბჭოს სახელით, მხარი დაუჭირა სწავლების დუალურ მეთოდს, მაგრამ აღნიშნა, რომ ამ გზაზე მოსალოდნელია გარკვეული პრობლემები, რადგან სწავლების ამ სისტემის დანერგვისას აქცენტი გადატანილია დამსაქმებელზე, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში, არა აქვს კადრებზე ისეთი მოთხოვნა, რომ დღეს ამისთვის ფინანსები გაილოს, არც, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკა ვითარდება ისე, რომ რომელიმე დარგის მცირე თუ საშუალო ბიზნესმა კადრების მომზადებაში ფული დააბანდოს. გარდა ამისა, ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მისი ქართულ გარემოსთან შეუთავსებლობაც დასახელდა. სურათი ამ მიდგომას, როგორც შემდეგ გამოხატულა, გამოიკვეთა, არაერთი თანამოაზრე ჰყავს. ისინი სახელმწიფოს გადაწყვეტილებას, პროფესიულ განათლებაში დუალური სწავლების დანერგვის შესახებ, მცდარ ნაბიჯად მიიჩნევენ და ამბობენ, რომ ეს გზა წარმატებული ვერ იქნება. პირველ რიგში, იმიტომ, რომ დამსაქმებელთა ინტერესი ამ მიმართულებით, თითქმის, მინიმალურია და არ არის მორგებული ქვეყნის სპეციფიკას. თუმცა, სხვა მაგალითიც არსებობს, რომელიც, არც ისე შორეულ, კომუნისტურ პერიოდს უკავშირდება და რომლის შესახებაც ბათუმის პროფესიული სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელმა, პედაგოგიკის მეცნიერებთა დოქტორმა რევაზ ნაკაშიძემ გაიხსენა. ის ამბობს, რომ მაშინაც გერმანული სისტემით მუშაობდა პროფესიული განათლება, რომელიც, მისი აზრით, წარმატებული იყო და ახლაც მიმზიდველია ახალგაზრდებისთვის სწორი პროფესიული ორიენტაციის და შედეგად, სწორი არჩევანის შემთხვევაში. ახლა ცენტრში მზარდი რაოდენობა მზადდებიან მოდულური მეთოდით და, რაც მთავარია, უცხო ენის ცოდნით. სწავლის მსურველებს ისინი ანექტურ გამოკითხვას უტარებენ, რის საფუძველზეც ადგენენ, რა პროფესიისკენ მეტად აქვს მიდრეკილება ახალგაზრდას. თუმცა, საბოლოო არჩევანს ამ შედეგის გათვალისწინებით, თავად აკეთებს. ბატონი რევაზი იმასაც ამბობს, რომ ჩვენი ბიზნესი არც მენტალურადაა მზად მისთვის საჭირო პროფესიების დასაფინანსებლად. გერმანიაში არც მაშინ იყო ეს საკამათო, ასეა დღესაც, იქ, ისევე როგორც სხვა ევროპულ ქვეყნებში, ბიზნესი თავად ხარჯავს ფულს იმისთვის, რომ კვალიფიციური კადრები მოამზადოს, რომლებიც ხარისხიან და, მაშასადამე, კონკურენტუნარიან პროდუქციას შექმნიან. ეს მათი ბიზნესის წარმატებისა და სტაბილურობის გარანტია. როგორც ვთქვი, სხდომის მონაწილეთა უმრავლესობა ერთი აზრისაა დამსაქმებელთა მიდგომის შესახებ კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში, მაგრამ ეს პროცესი გასული წლის ოქტომბრიდან, რამდენიმე სასწავლებელში, უკვე დაიწყო და, მინიმუმ, ერთი წელი მაინცაა საჭირო იმისთვის, რომ გავიგოთ მომხრეები ცდებიან თუ მონიშნაღმდეგეები (ისინი ჯერ კიდევ შარშანდელ სხდომაზეც გამოდიოდნენ ამ თეორიის დაეხმარების ნინაღმდეგ).

რაკი საკითხი, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში პროფესიული სისტემის როლს ეხებოდა (დუალური სწავლება მხოლოდ ერთი ინსტრუმენტია დარგის განვითარებისთვის), მომხსენებელი ისეთ სერიოზულ და პრობლემურ საკითხსაც შეეხა, როგორცაა შრომის ბაზარი და აღნიშნა, რომ მასთან მიმართებაში სახელმწიფომ მიდგომები უნდა შეცვალოს. „რიგი საშუალებები უცხოური კომპანიების მიერ სრულდება, რაც შრომის ბაზარს კლავს. ხშირ შემთხვევაში ეს განზრახ კეთდება – ტენდერებში ისეთი პირობებია ჩადებული, ადგილობრივი კომპანიები ვერ აკმაყოფილებენ. ვფიქრობ, კორუფციული ფაქტორი მოქმედებს, თორემ, მაგალითად, ინფრასტრუქტურულ პროექტებს რატომ უნდა ახორციელებდნენ უცხოელები? სხვა ქვეყნებში ეს საკითხი კანონმდებლობით რეგულირდება. ასე უნდა იყოს საქართველოშიც“.

ადგილობრივი შრომის ბაზრის ბლოკირების მეორე თვალსაჩინო მაგალითად ქალაქში ტრორტუარებისა და ქვაფენილების დაგება დასახელდა, როცა საჭირო მასალა უცხოეთიდან შემოდის, ნაცვლად იმისა, რომ საქართველოში არაერთგან შეიძლება ქვის მოპოვებისა და გადამამუშავებელი მცირე საწარმოების შექმნა, სადაც პროფესიული სასწავლებელში მომზადებული კვალიფიციური კადრები დასაქმდებიან. მით უმეტეს, რომ შემოტანილი ქვები ტოქსიკურია და მზეზე გახურებისას ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებებს გამოყოფს. „საზოგადოება უფრო აქტიური უნდა იყოს. თავისი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის იგი ვალდებულია, გავლენა მოახდინოს ხელი-საფულაზე, რომ მიმდინარე პროცესები, პირველ რიგში, საქართველოს მოქალაქეების ინტერესებს პასუხობდეს“.

შრომის ბაზრის რეგულირების საკითხი მნიშვნელოვანი კომპონენტია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. ამის შესახებ ადრეც არაერთხელ თქმულა მსგავს ფორუმებზე, თუმცა იმ განსხვავებით, რომ მიდგომა იყო სხვა, კერძოდ – მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დისბალანსს ბაზარი არეგულირებს. ახლა, როგორც ჯანდაცვის სამინისტროს დასაქმების დეპარტამენტის წარმომადგენელმა, ელენე ჯგერენაიამ გა-

ნაცხადა, ეს პროცესი სახელმწიფომ უნდა მართოს. უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს შრომის ბაზრის ფორმირების პროცესი, ხორციელდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები – ეს არის პროფესიული მომზადება-გადამზადება, სუბსიდირებისა და სტაჟირების პროგრამები, თანრთვე ყველაზე მნიშვნელოვანი და მსხვილი პროგრამა – საშუალო-საშუალო სასწავლებლის შეთავაზება სამუშაოს მაძიებლებისთვის და სხვ. როგორც ითქვა, მსგავსი პროგრამების განხორციელების გამოცდილება ქვეყანას არ გააჩნდა და ამიტომ ისინი ხარვეზებით მიმდინარეობდა, რომელთაც გზადაგზა ხვედნდნენ და ასწორებდნენ.

კიდევ ერთი სახელე, არა მარტო ქვეყნის, არამედ რეგიონის მასშტაბითაც, ესაა შრომის ბაზრის საერთაშორისო სისტემაში ჩართვა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს მოქალაქეების დასაქმებას ქვეყნის გარეთაც. პარადოქსია, მაგრამ ქვეყანას, 2005 წლის შემდეგ, არ ჰქონია დასაქმების შესახებ არც ერთი ნორმატიული აქტი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ვალდებულებას ვაკისრებს ქვეყნის მიერ რატიფიცირებული შრომის საერთაშორისო კონვენციები. დღეისათვის, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში, შემუშავებულია დასაქმების შესახებ ნორმატიული აქტი, რომელიც ადგილობრივთან ერთად, ცირკულარული მიგრაციული დასაქმების მექანიზმსაც მოიცავს. ამჯერად შესწავლილია პოლონეთისა და ესტონეთის შრომის ბაზრებზე მოთხოვნილი პროფესიები და მზადდება მაძიებლები, რომლებიც ამ მოთხოვნას დააკმაყოფილებენ. ცირკულარული მიგრაციის თანხმად, ისინი ამაღლებული კვალიფიციაციით დაუბრუნდებიან ქვეყანას და გაუადვილებათ ადგილობრივ ბაზარზე ინტეგრაცია.

ეკონომიკის განვითარებისა და დასაქმების უზრუნველყოფის კონტექსტში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა მაღალი კვალიფიციაციის კადრების მომზადების აუცილებლობაზე და ითქვა, რომ როცა პროფესიულ განათლებაზე, ახალი სასწავლებლის ან კოლეჯის დაფუძნებაზე ვსაუბრობთ, იგულისხმება, რომ გქმნით სასწავლებელს, რომელიც არა დღევანდელ, არამედ ხვალისთვის მოთხოვნილ უპასუხობს, რადგან ძალზე სწრაფად ვითარდება ტექნოლოგიები. როგორც აკადემიკოსმა ოთარ კვეციანიმ აღნიშნა, ბოლო 15 წელიწადში 10-ზე მეტი მეცნიერება შეიქმნა; ახალი ექსპლოზიები ძირფესვიანად ცვლიან ჩვენს წარმოდგენებსა და გამოცდილებასაც კი. თუ ვფხვს არ ავუნყოფთ ამ სახელებს, არ მივიღებთ და არ დავინერგავთ, არა კონკურენტუნარიანი ვიქნებით. „ღმერთმა საქართველო თავის 29 ნიადგაობრივ-კლიმატური ზონით მოგვცა. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა. მეცნიერებათა აკადემია არა თუ მონაწილეობას მიიღებს ტექნოლოგიურ სიახლეების დანერგვაში, თავის თავზე აიღებს ქვეყნის ტექნოლოგიური მოდერნიზაციის საკითხს“.

ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაში თანამედროვე პროფესიული სასწავლებლის როლზე საუბრისას, პარლამენტის წევრმა, ზაქარია ქუცნაშვილმა აღნიშნა, რომ იმ ფონზე, როცა საქართველო, ყველა სასოფლო-სამეურნეო თუ სამრეწველო პროდუქტით, დეფიციტური ქვეყანაა, საჭიროა რეგიონული მოთხოვნების გათვალისწინებით დაფუძნდეს სასწავლებლები, რომლებიც იმ პროფესიებში მოამზადებენ ახალგაზრდებს, რაც ადგილობრივი ბიზნესისთვის იქნება საჭირო და მაგალითად ყაზბეგი დასახელდა, სადაც თურქი 17 სასტუმროს მშენებლობა იგეგმება და მალე უამრავი ვაკანსია გაჩნდება, რომლის შესებად პრობლემად მიიჩნია. მის კოლეგას, ხაშურის მაჟორიტარ დეპუტატს, სიმონ ნოზაძეს უფრო რეალისტური გეგმები აქვს: „მსურს ავამოქმედოთ მინის ტარის ქარხანა და ქარის ელექტროსადგურები 120-180 მგ სიმძლავრის. ინვესტიციას ხაშურიდან წასული ებრაელები განახორციელებენ, ხოლო ტექნოლოგიები და სხვა მომსახურე პერსონალი ადგილზე უნდა მოვამზადოთ, რისთვისაც სურამში ვაპირებთ პროფესიული სასწავლებლის გახსნას“.

როგორც სხვა დროს, ახლაც გამორჩეულად კრიტიკული იყო პროფესიული განათლების პროფკავშირის თავმჯდომარე და საბჭოს სხდომის მოდერატორი დენის დავითაშვილი. მან ძირითადად გამოკვეთა წლიდან წლამდე გადაუჭრელი საკითხები, რაც სისტემის პრესტიჟულობის დაცემას განაპირობებს. ეს არის, პირველ რიგში, საკანონმდებლო ბაზის მოუხსნარებლობა, პროფესიული პედაგოგისა და პროფესიული სტუდენტის არათანაბარი პირობები, სასწავლებელში მისაღები ტესტირების გაუქმების აუცილებლობა, რადგან ეს პრაქტიკა არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს, სასწავლო პროცესის არა სექტემბერში (როგორც უმაღლეს ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში) არამედ ნოემბერში დაწყება, პროფესიული სტუდენტის შეღავათებით, დაუფინანსების, საკანონმდებლო ბარიერის, აგრეთვე 2010 წელს გაუქმებული სასწავლებლების დროული აღდგენა და სხვა საკითხების მოგვარების აუცილებლობა. მანვე აცნობა სხდომის მონაწილეებს, რომ საბჭოს დავალებით, სისტემის გამოცდილი სპეციალისტების მიერ მომზადებული 3 კანონპროექტი განსახილველად. ესენია: მედიცინის უმცროსი პერსონალის შესახებ, მოკლევადიანი პროფესიული მომზადების შესახებ და პროფესიული განათლების ოპტიმიზაციის შესახებ.

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში: „არაერთი შეხვედრა მქონდა დარგის სპეციალისტებთან, გამოცდილი ადამიანებთან, მომისმენია მათი რეკომენდაციები და სურვილები. გავეცანი დღევანდელი სხდომის რეზოლუციის პროექტსაც. პრაქტიკული და საგულისხმო ნინაღმდეგებია, თუმცა არსებობს სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტი, რომელიც შეიძლება არ გვაძლევდეს ყველა რეკომენდაციის გათვალისწინების საშუალებას. თუკი არ მოხდება კონკრეტული რეკომენდაციის დეტალური ანალიზი, ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში, შეუძლებელი იქნება მისი გათვალისწინება, დეტალური ანალიზისა და კონკრეტულის შემთხვე-

ვაში, მზად ვარ ვიმსჯელოთ“. მარიამ ჯაში დარგის სტრატეგიული დაგეგმარების აუცილებლობას შეეხო და აღნიშნა, რომ ევროპაში სტრატეგიული დაგეგმარების სამინისტროებიც კი არსებობს, იმდენად მნიშვნელოვანია ეს ფაქტორი. „მის გარეშე ნებისმიერი პროგრამა განხორციელდება“ – დასძინა მან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე კომიტეტის წამყვანმა სპეციალისტმა, ქეთევან ტომარაძემ გაიხსენა ევროკავშირის დახმარებით მომზადებული პროფესიული განათლების სტრატეგია და პოლიტიკა, წარმატებით განხორციელებული რამდენიმე პროექტი და ასევე საქართველოს განათლების განვითარების სტრატეგია. „ეს დოკუმენტები მიღებულია მთავრობის მიერ, მაგრამ დღეს ისევე ამაზე ვსაუბრობთ“ – მოკრძალებით დასძინა მან. თუმცა, ისიც აღნიშნა, რომ რიგი საკანონმდებლო ხარვეზები ხელს უშლის დარგის წინსვლას.

ეს ნამდვილად ასეა. მაგალითისთვის ცხრაკლასდამთავრებულიათვის ბარიერის შექმნაც საკმარისია, რომლის გასწორების აუცილებლობაზე წლებია საუბრობენ და, როგორც აღმოჩნდა, კანონპროექტი (ახალი და არა ძველი ჩასწორება) მხოლოდ საგაზაფხულო სესიისთვის იქნება მზად; ჩემს შეკითხვაზე – იგეგმება თუ არა 2010 წელს გაუქმებული სასწავლებლების აღდგენა და რას ფიქრობენ, ზოგადად, ამის შესახებ, მარიამ ჯაშმა მიპასუხა, რომ ეს საკითხი მხოლოდ მას შემდეგ განიხილება, რაც სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცდება. მანამდე კი, თავის მოკლე გამოსვლაში აღნიშნა, რომ თითოეული სასწავლებელი დაფუძნდება სახელმწიფოს და შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად. ასე რომ, ჯერჯერობით, გაურკვეველია გაუქმებულთაგან რომელი მოექცევა სახელმწიფოს ინტერესის სფეროში და რომელი – არა.

საბჭოს სხდომა საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდა, სხვა გამომსვლელებმაც, მათ შორის სასწავლებლების დირექტორებმაც გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები, ძირითადად, პრობლემებზე ისაუბრეს, სახელმწიფოს მხრიდან არასათანადო მხარდაჭერასაც გაუხვეს ხაზი, მაგრამ პრეტენზიები, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში, სხვადასხვა სახის შეხვედრებზე, კანონმდებელთა თუ მთავრობის წარმომადგენელთა გასაგონად გამოითქმის, არ იცვლება:

პროფესიული კოლეჯების და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები არათანაბარ მდგომარეობაში არიან. პროფსასწავლებლების კურსანტები არ სარგებლობენ სტიპენდიებით, სამეზავრო შეღავათებით (დევნილის და შშმ პირების გარდა); არ შეუძლიათ საკუთარი ვაჟების კერძო კოლეჯში გამოყენება; პროფსასწავლებელში მიღებული განათლება არ ეთვლებათ კრედიტებად, არ აქვთ სწავლის გავრცელების შესაძლებლობა; პროფსასწავლებელი დროებითაც ვერ ათავისუფლებს სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან და ა.შ.

პროფსასწავლებელში სწავლის უფლების მოსაპოვებლად საბაზისო განათლების დამადასტურებელი ატესტაცია საჭირო, თუმცა შეზღუდვები ამით არ შემოიფარგლება. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც პროფესიულ კოლეჯებში ჩარიცხვა გამოცდით ხდება. ერთიანი პროფესიული ტესტირება, რაც საჯარო კოლეჯებში სწავლის დაწყების ნინაპირობაა, ერთ-ერთ მთავარ ბარიერად მოიაზრება.

ერთიანი პროფესიული ტესტირების შემოღების შედეგად ცხრაკლასდამთავრებული სტუდენტების კატეგორია შეიზღუდა, იმიტომ რომ ისინი კონკურენციას ვერ უწევენ უმაღლეს განათლებამიღებულ პირებს. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაბალი ბარიერებია დაწესებული. საკითხავია რამდენად ღირს ასეთი ძვირადღირებული მექანიზმის შემოღება. სწორედ მსგავსი საკითხების მოუგვარებლობაა იმის მიზეზი, რომ პროფესიული განათლება დღემდე ვერ გახდა მიმზიდველი ქართველი ახალგაზრდებისთვის.

კიდევ რამდენ ხანს შეიძლება იტრიალონ ერთ წრეზე, ერთი და იმავე პრობლემებით დარგის მესვეურებმა, რამდენ ხანს გაგრძელდება მსჯელობა ერთხელ უკვე მიღებული და დამტკიცებული დოკუმენტების ვარგისიანობა-უვარგისობის თუ ქართული რეალობის გაუთვალისწინებლად სწავლების რომელიმე მეთოდის დანერგვის (ამ შემთხვევაში მოდულური) თაობაზე, არავინ იცის. ოპტიმისტური დასკვნის საშუალება ნამდვილად არ გვაქვს, თუნდაც ერთი მარტივი მაგალითის გამო – ჯერ კიდევ 5-6 წლის წინ ითქვა არაერთი სპეციალისტის, მათ შორის, ამ საბჭოს წევრთა მიერ, რომ შეცდომა იყო ცხრაკლასდამთავრებულიათვის საკანონმდებლო ბარიერის შექმნა, სასწრაფოდ იყო საჭირო კანონში შესწორების შეტანა, რათა ახალგაზრდას, ჯერ პროფესიულ სასწავლებელში ხელობის შესწავლა, ხოლო შემდეგ, სურვილის შემთხვევაში, უმაღლესში სწავლის გავრცელება შეეძლებოდა. ნაცვლად ამისა, წლებია, მიმდინარეობს შეშაობა ახალი კანონის შესაქმნელად. საბჭოს სხდომის რეზოლუციის პირველი პუნქტის მოთხოვნაც ესაა – „2017 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიებზე მიღებულ იქნეს კანონები „პროფესიული განათლების“... ჩამონათვალის გრძელდება...“

თუ ბოლომდე გულდასმით წაიკითხავთ რეზოლუციას, მიხედვით, რომ ჩვენ გვაქვს პრობლემები, რომლებიც არც იცვლება და არც გვარდება. ამიტომ, საჯარაუდოდ, მომავალშიც, ალბათ, არაერთ რეზოლუციაში ჩაინერგება: „პროფესიული განათლების ინსტიტუტების კურსდამთავრებულები, ზოგადად, ვერ აკმაყოფილებენ შრომის ბაზრის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მოთხოვნებს“ (მომხსენებლის გამოსვლაში კი ითქვა კადრებზე მოთხოვნა არ არის იმდენად დიდი, რომ ბიზნესმა მის მომზადებლად ფული დახარჯოს!) და ამას ვერ უშველის კიდევ ერთი ჩანაწერი ახალ რეზოლუციაში, რომ ყოველმა მომდევნო პრემიერ-მინისტრმა უხელმძღვანელოს სახელმწიფო კომისიას, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სფეროში არსებული პრობლემების შემსწავლელი წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დასმულ საკითხებსა თუ პრობლემებს მოაგვარებს.

პროფესიული განვითარება

ყოველი გაკვეთილი სიახლის მომტანი უნდა იყოს

სანამ პროგრამაზე დაიწყებდნენ საუბარს, მინდა რამდენიმე სიტყვით გამოვხატო ჩემი ემოციები. ხშირად მიფიქრია კითხვაზე – რას ნიშნავს ვიყო კარგი მასწავლებელი? ჩემი აზრით, კარგი მასწავლებლობას არ განსაზღვრავს მხოლოდ საგნის ცოდნა, მთავარია მიდგომა, კეთილგანწყობა იმ საქმისადმი, რასაც ვაკეთებთ და შემოქმედებითობა. მე არ ვარ იდეალური მასწავლებელი, ყოველდღე ვსწავლობ, ვიცვლები, ვფიქრობ და ვანვიცდი... თუმცა მივხვდი, რომ მასწავლებლობა ჩემთვის მხოლოდ პროფესია არ არის, არამედ ცხოვრების სტილია! ოთხ წელზე მეტია ვგრძნობ სკოლის სუნს, თერთად შეღებილი კედლების სიცივე, ერთი შეხედვით, იდეალურ სურათს ქმნის, დიდზურგჩანთიანი თვალბეჭეტილი პირველკლასელები ფეხებში გებლანდებიან. ორმაგად საინტერესოა და, ამავდროულად, შრომატევადი, როცა ამ ყველაფერს ეთნიკურ უმცირესობებთან აკეთებ. შენ, როგორც მასწავლებელი, მათთვის ხარ ქართული სახე, რომელიც ყველანაირად უნდა დაინახო და შეაყვარო. აქ სწორედ პატარა საქართველოა, ჩემი მოსწავლეების თვალთ დანახული პატარა, მაგრამ ლამაზი საქართველო, რომელსაც მუდამ ვეფერებით და ვუფრთხილდებით. მე მიყვარს ჩემი მოსწავლეების თვალთ დანახული ჩემი სამშობლო.

შენ, როგორც მასწავლებელი, მათთვის მზის სხივი ხარ, განათებული მზის სხივი, ვის წინაშეც ემოციების გამოხატვა თავისუფლად შეუძლიათ. ვფიქრობ, უკეთესი არჩევანი არასოდეს გამოკეთებია. ფაქტობრივად, საკუთარი თავი ვიპოვე და მე დღეს იქ ვარ, სადაც უნდა ვიყო. ეს საქმე უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს.

რამდენიმე წელია პროგრამით ვმუშაობ დამხმარე მასწავლებლად. როცა მასწავლებელი ხარ, გინდა მიზნები დაისახო, წინ ნახვიდე. როცა ამდენი წელია მუშაობ და ეს, მინიმუმ, სტა-

ჟადაც კი არ გეთვლება, ცოტა არ იყოს გულდასაწყვეტია. მივხვდი, რომ რაღაც ახალი გზა უნდა მეპოვნა. გავიგე მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც ითვალისწინებს მასწავლებლების ერთწლიან გადამზადებას 60-კრედიტიანი პრივილეგიით, რომლის დასრულების შემდეგ თითოეულს აქვს შანსი გახდეს „უფროსი მასწავლებელი“. მოთხოვნა იყო საგნის გამოცდის ჩაბარება, დაფრეგისტრირდი, გავიარე გასაუბრება და მივხვდი, რომ ეს იყო ჩემთვის ახალი ცხოვრების დაწყების, წარმატების გზა. არ მინდა ერთ ადგილზე გავჩერდე, ვგრძნობდი, რომ რაღაც მაკლდა. სამი თვეა დავინწყებ სწავლა, სადაც შეკრებილები ვართ სხვადასხვა პროფესიის, ასაკის მასწავლებლები. აქ მოხვედრა საინტერესოა ჩემთვის, ვიზიარებ ერთმანეთის შეხედულებებს, გამოცდილებას, ახალ მეთოდებს, გვასწავლიან მაღალკვალიფიციური ადამიანები, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით თანამედროვე მიდგომების დანერგვაში. ძალიან დატვირთული გრაფიკია, ზღვა მასალა. ძნელია სამუშაოსთან შეათავსო სწავლა, აკეთო დავალებები, დაამუშაო საკითხები, ღამეების გათენებაც გინევს თუმცა, შრომა ყოველთვის ფასდება, მე ამის მჯერა. ახლა ვინცე შემოქმედებით სწავლებას, თავადაც ვსწავლობ ყველა თანამედროვე მეთოდს, რომელიც თითოეულმა პედაგოგმა უნდა იცოდეს. აქამდე არ ვიყავი ჩახედული, ჩემებურად ვატარებდი გაკვეთილს, თუმცა ყოველთვის მქონდა სურვილი, რამე დამატებით მესწავლა და მეკეთებინა, ეს პროგრამა კი ნამდვილად მაძლევს ამის საშუალებას. არ ვიცი, წლის ბოლოს რა შედეგს დავებ (ამაზე ალბათ შემდეგში ვისაუბრებ), მაგრამ ერთი რამ ცხადია, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ვიყო ბავშვებზე ორიენტირებული პედაგოგი, რადგან მასწავლებელს მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს

მოსწავლის წარმატებულ ადამიანად ჩამოყალიბებაში. დღევანდელ თაობას ნამდვილად გაუმართლა ასეთი პედაგოგები რომ ასწავლიან. გულწრფელად გეტყვით, მასწავლება ჩემი სკოლის პერიოდი, არც ისე დიდი ხნის წინ ვიყავი ინტრაპერსონალური, ჩემთან არავინ იმუშავა ამაზე, მივხვდი, რომ ამ ყველაფერმა და ჩაკეტილობამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ჩემს ცხოვრებაზე. თუმცა, არ ვადასწავლავ ჩემს საყვარელ პედაგოგებს, მათ ისე მასწავლეს, როგორც თვითონ ისწავლეს, თავის დროზე. დღეს კი ვფიქრობ, ნამდვილი გადატრიალება მოხდა ამ სფეროში. ის, რაც მე დამაკლდა, მინდა ჩემს მოსწავლეებს ავეუნაზღაურო. არ არის ადვილი, როცა იცი, რომ სხვის განვითარებაში წვლილი უნდა შეიტანო, შენ ხარ მოდელი, რომელიც გავლენას ახდენს მომავალი თაობის აღზრდაზე.

თითოეული მოსწავლე ჩემი შედეგია, მინდა, სკოლა სახლს დავამსგავსო, სადაც ყველა უსაფრთხოდ იგრძნობს თავს. მინდა, ჩემი ყველა გაკვეთილი მოლოდინით იწყებოდეს, მიყვარდეს, ვუყვარდე და ამ სიყვარულის მარცვალზე დაშენებული ყოველი გაკვეთილი უფრო და უფრო შემოქმედებითი, წარმატებული და სიახლის მომტანი იყოს. მე კი, ეს რომ გამომივიდეს, სულ უნდა ვისწავლო და ვასწავლო. ადამიანები იმიტომ კი არ ცოცხლობენ, რომ საკუთარ თავზე ზრუნვა ასულდგმულზე, არამედ იმ სიყვარულის გამო, რომელიც მათ მიმართ სხვებს აქვთ. მინდა წარმატება ვუსურვო თითოეულ ჩემს კოლეგას. მჯერა, ამ კურსის გავლის შემდეგ, სულ სხვა მასწავლებელი დაიბადება ჩემში.

**სალომე ძირია**  
*პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ მონაწილე*

კონკურსი უფროსკლასელთათვის

„ტრადიციული თამაშობები“

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროების, გაზეთის „ახალი განათლება“ და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, აცხადებს კონკურსს უფროსკლასელთათვის თემაზე „ტრადიციული თამაშობები ჩემს სოფელში“.

კონკურსის მიზანია:

- გამოავლინოს და დააფიქსიროს უზუცესების მემკვიდრეობაში დღემდე შემონახული საქართველოს სხვადასხვა კუთხის უძველესი თამაშობები (როგორც ჯგუფური, ისე სამაგიდო);
- გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ინტერესი მათი კუთხის არამატერიალური მემკვიდრეობის მიმართ;
- დაეხმაროს ახალგაზრდა თაობას არამატერიალური მემკვიდრეობის ნიმუშების მოძიებისა და ფიქსაციის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში;
- ხელი შეუწყოს ძველი ქართული თამაშობების აღდგენა-პოპულარიზაციას.

კონკურსი მოეწყობა ორ ტურად:

**პირველი ტური**  
გულისხმობს სკოლაში მოსწავლეთა ნამუშევრების პირველად სელექციას, რომელიც სკოლის ადმინისტრაციის მიერ, საკონკურსო პირობების ყველა ნორმის დაცვით, იქნება შერჩეული და გადმოგზავნილი მითითებულ ელმისამართზე [aramaterialuri@yahoo.com](mailto:aramaterialuri@yahoo.com) (იხ. საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა). საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ხელმძღვანელობამ თავად უნდა გაუწიოს მოსწავლეს ტექნიკური დახმარება. საინტერესოა, იშვიათი თამაშობის წარმდგენი გადავლენ მეორე ტურში.

მეორე ტური

მეორე ტურში გადასული მოსწავლეები, კონკურსის ორგანიზატორებისა და ექსპერტების შენიშვნების გათვალისწინებით, ჩაასწორებენ ნიმუშებს და ხელახლა გადმოგზავნიან.

ნიმუშის წარდგენის ფორმა

თითოეული ნაშრომი უნდა მოიცავდეს:

1. ვორდის ფაილში დანერგილ საკონკურსო ნამუშევარს;
2. მოსწავლეების მიერ აღწერილი თამაშობის მიხედვით გადაღებულ მაღალი რეზოლუციის ფოტოებს (რაოდენობა შეზღუდული არ არის) და თამაშის/ან მისი ფრაგმენტების/ ამსახველ ვიდეოჩანაწერს. ფოტოები უნდა გადმოგზავნოს, ვორდის ფაილში შესრულებულ ნაწერთან ერთად, JPG ფორმატში;
3. ელემენტზე მუშაობის ამსახველ ფოტომასალას, გადმოგზავნილს ასევე JPG ფორმატით;
4. შეძლებისდაგვარად, თამაშობის ამსახველ ვიდეოჩანაწერს (შესაძლებელია გადაღებულ იქნეს მობილური ტელეფონით).  
*სასურველია*, ნიმუში ჩაიწეროს თქვენი რეგიონის (სოფლის, ქალაქის, ქუჩის, უბნის, ოჯახის, და ა.შ.) მკვიდრი მოსახლისაგან.  
*სასურველია*, მოძიებული და ჩაწერილი ნიმუში ფართე საზოგადოებისთვის ნაკლებად იყოს ცნობილი.

სკოლის შიდა შერჩევის შედეგად შერჩეული საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოგზავნოს:

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე [aramaterialuri@yahoo.com](mailto:aramaterialuri@yahoo.com);
- ან გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციაში;
- ან მოგვანოდოს ფოსტით „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ მისამართზე (თბილისი, 0105, თაბუკაშვილის ქ. 5).

ვორდის ფაილი უნდა მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო ჩანაწერებს:

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *თამაშის დასახელება*;
2. ავტორი – მოსწავლე/ელებ/ის სახელი, გვარი;
3. ხელმძღვანელი პედაგოგი – სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელმისამართი);
4. ქალაქი (რაიონი, სოფელი) და სკოლის სრული დასახელება;
5. სკოლის დირექტორი – სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელმისამართი);
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში, მიუთითეთ ყველა სათაური და დაურთეთ კომენტარი);
7. ნიმუშის აღწერა  
აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:
  - რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული თამაში – მოკლე განმარტება თამაშის შესახებ;
  - სახელწოდება (აგრეთვე, მიუთითეთ თუ არის ცნობილი თქვენ მიერ აღწერილი ნიმუშის განსხვავებული, სხვა სახელწოდება);
  - ნიმუშის ჩანერის აღწერილობა – სად, როდის, რისთვის და ვის მიერ იქნა მოთხრობილი და ჩანერილი ეს ნიმუში, მიუღია თუ არა მონაწილეობა მოთხრობელს აღნიშნულ თამაშში და ვისგან აქვს ნასწავლი თავად ეს თამაში;
  - ტრადიციულად რა დროს, რა შემთხვევაში, რამდენი მონაწილე თამაშობდა მას;
  - აღწერეთ გარემოება, როდესაც თამაშობენ ამ კონკრეტულ ნიმუშს;
  - რას უკავშირდებოდა აღნიშნული თამაშობა;
  - რა ატრიბუტები უკავშირდება/თან ახლავს თამაშის პროცესს (ასეთის არსებობის შემთხვევაში, დააფიქსირეთ ფოტოზე);
  - სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული თამაშის დროს;
  - რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ, ან რელიგიურ, ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დასაბუთეთ შემოთავაზებული თამაშის მნიშვნელობა (უნიკალობა ან ორიგინალობა) პირადად თქვენთვის (რეგიონისთვის, სოფლისთვის, ოჯახისთვის, სკოლისთვის...), საზოგადოებისთვის.
  - აღწერეთ თამაშის პროცესი  
სპეციფიკის გათვალისწინებით, წარმოადგენილ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი თვალსაჩინო მასალა: ფოტო, ვიდეო (შესაძლებლობის შემთხვევაში), ასევე – ჩანახატი, ჩანახაზი, შაბლონი, სქემა, ესკიზი და სხვა თვალსაჩინო მასალა, საჭიროების მიხედვით.

ნამუშევრებს, სპეციალისტებთან ერთად, განიხილავენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები.

გადმოგზავნის ვადაა 2016 წლის 20 მარტი

გვეკონტაქტეთ: სამუშაო დღეებში  
599 08 40 03; ან 577 27 80 02  
[aramaterialuri@yahoo.com](mailto:aramaterialuri@yahoo.com)  
მაკა თაძთაძიშვილი, კომტა ნაცვლიშვილი

გამარჯვებული ნიმუშების მიხედვით შედგება ილუსტრირებული კრებული, რომელიც გამოიცემა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ და სარეკლამო გზადაცემამთ ავტორებსა და კონკურსში მონაწილე სკოლებს, ასევე სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს. მოწოდებული ვიდეოფაილების მიხედვით დამონტაჟდება ვიდეორგოლი. ნაშრომები გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი განათლება“ ფურცლებზე, გაშუქდება მედიის საშუალებით.

კონკურსის ყველა მონაწილეს მიენიჭება „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ წოდება.

*საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არამატერიალური მემკვიდრეობის განყოფილება*

მედიანიზმები

# ზოოპარკის ახალი ბინადრები

**მასწავლებელი:** სალომე თადემაძე  
**სკოლა:** ქუთაისის №32 საჯარო სკოლა  
**კლასი:** IV  
**საბანი:** ქართული-ბუნება

**სასწავლო მიზნები:**

- მოსწავლეები შეძლებენ მიიღონ და გაეცნონ ინფორმაციას პინგვინების მათთვის უცნობი სახეობის შესახებ;
- მოსწავლეები შეძლებენ საინფორმაციო წყაროზე დაკვირვების შედეგად აწარმოონ ჩანიშვნები;
- მოსწავლეები შეძლებენ ტექსტის აღქმა-გააზრებას, მინოდებული ინფორმაციის გაფილტვრას, მათთვის საჭირო, ძირითადი საკითხების გამოყოფა-დაჯგუფებას;
- მოსწავლეები შეძლებენ შექმნან მიზნობრივი, მცირე ზომის არამხატვრული ტექსტი;
- მოსწავლეები შეძლებენ ინფორმაციულ წყაროზე (ვიდეო, ტექსტი...) დაყრდნობით მოიფიქრონ შეკითხვები წარმოსახვითი ინტერვიუსთვის და დაამზადონ მცირე ზომის რეპორტაჟი;
- მოსწავლეები შეძლებენ ინფორმაციულ წყაროზე დაყრდნობით შექმნან სარეკლამო-საინფორმაციო ბანერი მოკლე ტექსტური შეტყობინებებით, „სლოგანებით“.

**ი.ს.ბ. შესაბამისად მისაღწევი მიზნები:**

**ქართული ენა და ლიტერატურა – IV კლასი**

**IV-1:** მოსწავლეს შეუძლია ადეკვატურად აღიქვას სხვადასხვა სახის ტექსტი და გადმოსცეს მისი შინაარსი.

• გადმოსცემს არამხატვრული ტექსტის შინაარსს.

**IV-3:** მოსწავლეს შეუძლია სამეტყველო ქცევა დასახულ საკომუნიკაციო ამოცანას მიუსადაგოს.

• მეტყველებს გარკვევით და მკაფიოდ.

**IV-5:** მოსწავლეს შეუძლია მისთვის ნაცნობი თემების შემცველი სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტების (რეკლამის, საყმანვილო ჟურნალების, განცხადებების და ა.შ) ნაკითხვა და გაგება.

• გამოყოფს და ასახავს ტექსტის მთავარ საკითხებს.

• მოიძიებს ტექსტში კონკრეტულ ინფორმაციას.

• აჯგუფებს ინფორმაციას კონკრეტული ნიშნით (მსგავსება-განსხვავებით).

• მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის მიზნობრივი ტექსტების სათანადოდ გაფორმება და ტექსტის არავერბალური ნაწილების ამოცნობა. ავლენს ტექსტის ვერბალური ინტერპრეტაციის უნარს.

• სათანადოდ აფორმებს მცირე ზომის მიზნობრივ ტექსტებს.

**IV-12:** მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მცირე ზომის ტექსტის შეთხზვა.

• შესაფერისი ლექსიკის გამოყენებით ადგენს მარტივ დარგობრივ ტექსტებს.

• ჩამოწერს შეკითხვებს წარმოსახვითი ინტერვიუსთვის.

**ბუნებისმეტყველება – IV კლასი**

**IV-12:** მოსწავლეს შეუძლია დაასახელოს ზოგიერთი ორგანიზმის ნიშან-თვისებების ადაპტაციური მნიშვნელობა.

**მედიანიზმების მიზნები:**

• მედიარესურსის კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება;

• მედიის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სხვადასხვა პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირება, ანალიზი და განხილვა;

• სიტყვების ძალის გაცნობიერება, მედიაპროდუქტში გამოყენებული ვიზუალური ხატების აუდიტორიაზე ზეგავლენის შეფასება;

• მედიაში გამოყენებული ამბის მოყოლის სხვადასხვა ტექნიკის ანალიზი;

• სხვადასხვა მედიაფორმის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება.

**ლექსიკონი**

ლექსიკონში მოხვდება ყველა უცხო სიტყვა, რომელიც მოცემულია ტექსტში ან ვიდეომასალაში.

მაგალითად, ყველა მოსწავლემ შეიძლება არ იცოდეს, რა არის ნამატი ან რას ნიშნავს სიტყვა ადაპტირებული.

ლექსიკონის სიტყვების პოსტერი მასწავლებელს გაკრული ექნება თვალსაჩინოდ, კედელზე. ასევე დარიგდება ინდივიდუალურადაც.

**ვოლიერი** – შემოღობილი ადგილი, სათავსი ცხოველებისა და ფრინველებისთვის, გალია.

**მისია** – საგანგებო დავალება, ვალდებულება. საპასუხისმგებლო როლი.

**ბრიტანეთი** – ერთ-ერთი ევროპული ქვეყანა (ინგლისი).

**ადაპტირებული** – შეგუება, შეწყობა. ორგანიზმის შეგუება გარემოპირობებთან არსებობის შესაძლებლობად.

**აკლიმატიზირებული** – ადამიანის, მცენარის ან ცხოველის შეგუება კლიმატურ პირობებთან. ჰავასთან შეგუება.

**ნამატი** – გამრავლებული, გაბეგრებული რაოდენობა. ცხოველის ნაშიერი.

**ათვისება** – მთლიანად გამოყენება, მოხმარება.

**წყარო:**  
www.nplg.ge – უცხო სიტყვათა ლექსიკონი;  
www.ena.ge – განმარტებითი ლექსიკონი.

**საჭირო საბანანათლებლო რესურსები:**

- პროექტორი, კომპიუტერი.
- ვიდეოსიუჟეტი.
- საკითხავი მასალა (საინფორმაციო ტექსტი), რომელიც შექმნა თემატური მასალის ავტორმა, პედაგოგმა სალომე თადემაძემ.
- ვებმისამართები:
- <https://www.youtube.com/watch?v=3owDJscvIcc/>
- [www.mes.gov.ge/](http://www.mes.gov.ge/)
- [www.nplg.ge/www.ena.ge](http://www.nplg.ge/www.ena.ge)
- <https://www.google.ge/webhp?sourceid=chrome-instant&ion=1&espv=2&ie=UTF-8#q=%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/>
- შეფასების სქემა.
- ფლიფჩარტი, პოსტერები, მარკერები, ფერადი ფანქრები, ფერადი ფურცლები, ნებო, მაკრატელი.

**შენიშვნები:**

- შესაძლოა, მოსწავლეს გაუძნელდეს ვიდეომასალაზე ყურადღების კონცენტრირება.
- შესაძლებელია, ბავშვებმა ვერ მოახდინონ საინფორმაციო წყაროდან საჭირო მაქსიმალური ინფორმაციის ამოღება.
- მოსწავლეებს შეიძლება გაუჭირდეთ სიმულაციის სახით რეპორტაჟის მომზადება და წარმართვა.

**გაკვეთილის დროში განხორციელებული მიმდინარეობა:**

**გაკვეთილის ხანგრძლივობა** – 45წთ.

**გაკვეთილის თემისა და მიზნების გაცნობა** – 3წთ.

მასწავლებელი კლასს აცნობს, რომ დღეს მათ აქვთ „მედიანიზმების“ გაკვეთილი. ამ გაკვეთილის ფარგლებში მოსწავლეები გაეცნობიან საინფორმაციო ვიდეოსიუჟეტსა და ტექსტს „ზოოპარკის ახალი ბინადრების“, კერძოდ, პინგვინების შესახებ. მათ უნდა გაიაქტიურონ საკომუნიკაციო უნარჩვევები და საინფორმაციო წყაროებზე დაყრდნობით შეძლონ ინფორმაციის კლასიფიცირება, გაფილტვრა. მნიშვნელოვანი და საჭირო საკითხების გამოჩვენება-დაჯგუფება, მცირე ზომის ტექსტის შეთხზვა და გაფორმება.

მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ სწორედ ამ შესაძლებლობებით განხორციელდება აქტივობებში ჩართულობით შეფასდებიან ისინი განმავითარებელი შეფასებით (კომენტარით) და ნამახალისებელი აპლიკაციური სიმბოლოებით.

**ვიდეორჩვენება** – 5წთ.

ვიდეორჩვენების დაწყებამდე მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას: ყურადღებით დააკვირდნენ, მოისმინონ და თეზისებზე ჩაინიშნონ მოცემული ინფორმაციის ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დაეხმარება მათ შემდეგი დავალებების შესრულებაში.

მასწავლებელი კლასს უჩვენებს წინასწარ მომზადებულ ვიდეომასალას: „ზოოპარკის ახალი ბინადრები“ (ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „პანორამა“), სადაც გაშუქებულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თბილისის ზოოპარკის ხელმძღვანელობამ ბრიტანეთში შეიძინა სამხრეთ-აფრიკული პინგვინები. რეპორტაჟი გადმოსცემს მოკლე ინფორმაციას ამ უმშვიდათესი სახეობის შესახებ (ვიდეო სრულად გრძელდება 6:05 წუთი, მაგრამ მასწავლებელი იყენებს რეპორტაჟის დაწყებიდან მხოლოდ 3:27-წუთიან მასალას).

**ვიდეომასალაზე დაყრდნობით მოსწავლეთა მიერ გაკეთებული საჯაროდ ჩანიშვნები:**

- გამოსცემენ უცნაურ ხმებს;
- ცხოვრობენ ქვევრებში;
- არიან შავ-თეთრი შეფერილობის;
- სასაცილოდ დადიან;
- კარგად ცურავენ;
- აქვთ ფრთები;
- ვერ დაფრინავენ;
- ჭამენ თევზებს, ნკგ-ს;
- ჩამოიყვანეს ინგლისიდან;
- ფეხებით ჰგვანან ხეებს, ბატებს;
- ცხოვრობენ ზოოპარკში, პინგვინარიუმში;
- მოეწონათ ჩვენი ზოოპარკი;
- აქვთ საცურაო აუზი;
- იძინებენ თიხის ქვევრებში.

**საინფორმაციო ტექსტი** – 7წთ.

მასწავლებელი თითოეულ მოსწავლეს ინდივიდუალურად ურიგებს წინასწარ ამოებჭდილ მოკლე საინფორმაციო ტექსტს პინგვინებზე.

**პინგვინები**

პინგვინი ზღვის დიდი ფრინველია, თუმცა ფრენა არ შეუძლია და ფრთებს მხოლოდ ცურვისათვის იყენებს. სიცოცხლის უმეტეს ნაწილს (2/3) წყალში ატარებს. ეს უცნაური ფრინველები ჯგუფებად, კოლონიებად ცხოვრობენ. ძირითადად იკვებებიან თევზით და მრავალდებიან კვერცხით. პინგვინები, ხშირ შემთხვევაში, ანტარქტიდის კონტინენტზე ბინადრობენ, მაგრამ, რადგან ადვილად ეგუებიან ნებისმიერ გარემო პირობებს, შესაბამისად დედამიწის სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა ბუნებრივ პირობებშიც გვხვდებიან. დედამიწაზე პინგვინების 17 სახეობაა გავრცელებული. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან ზომით, ნისკარტით,

ბუმბულის შეფერილობითა და საცხოვრებელ ადგილზე შეგუებულობით.

პინგვინების უმრავლესობის ძირითადი შეფერილობა შავი და თეთრია. ამ მხრივ გამონაკლისია მცირე პინგვინი – მისი ფერები ლურჯი და თეთრია. ზოგიერთ სახეობას მკერდსა და თავზე შავი ზოლები გასდევს, ზოგსაც თავზე კაშკაშა ფერის ქოჩორი ან ყურებთან ბუმბული ამშვენებს. ყველაზე ლამაზი და დიდია სამეფო პინგვინი, რომელსაც საიმპერატორო პინგვინსაც ეძახიან. ისინი დანარჩენებისგან ყვითელი ყელით გამოირჩევიან.

ყველაზე უცნაური და იშვიათია სამხრეთ-აფრიკული პინგვინი. მას ვირ-პინგვინსაც უწოდებენ, რადგან მისი ხმა, წამოძახილი ძალიან ჰგავს ვირის ყროყინს. იგი მხოლოდ და მხოლოდ აფრიკაში, ნამიბიის სახელმწიფოსთან ახლოს ბინადრობს. ზურგი და კეფა შავი აქვს, გული კი – თეთრი შავი ზოლებით. თვალბთან მოვარდისფერო ლაქებს შენიშნავთ. დღეს აფრიკული ვირ-პინგვინა გადაშენების პირასაა.

პინგვინი ფრინველია, მაგრამ სხვა ფრინველებისგან განსხვავებით, სიარულისას შეუძლია სხეული ვერტიკალურ მდგომარეობაში დაიჭიროს. ის ნელა, მოუხეშავად და სასაცილოდ დაბაჯბაჯებს. სამაგიეროდ, ძალიან სწრაფად ცურავს წყალში სწორედ იმ ფრთების დახმარებით, რომლითაც ფრინველები ცაში ფრენენ.

*(ტექსტი ავტორმა მოსწავლეებისთვის ინტერნეტში გავრცელებულ მასალებზე დაყრდნობით მოამზადა)*

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ ინსტრუქციას, კითხვის პროცესში გამოიყენონ „მარკირების“ მეთოდი და გამოყონ ტექსტში მათთვის საჭირო, ძირითადი ინფორმაცია აფრიკული პინგვინების შესახებ.

**მარკირების მეთოდი** ითვალისწინებს ტექსტის კითხვის დროს მნიშვნელოვან, სასურველ-საჭირო ინფორმაციაზე კალმით, ფერადი ფანქრით ან მარკერით ხაზის გასმას.

**მოსწავლეთა მიერ საჯაროდ „მარკირებული“ საინფორმაციო ტექსტი – „პინგვინები“**

**პინგვინები**

პინგვინი ზღვის დიდი ფრინველია, თუმცა ფრენა არ შეუძლია და ფრთებს მხოლოდ ცურვისათვის იყენებს. სიცოცხლის უმეტეს ნაწილს (2/3) წყალში ატარებს. ეს უცნაური ფრინველები ჯგუფებად, კოლონიებად ცხოვრობენ. ძირითადად იკვებებიან თევზით და მრავალდებიან კვერცხით.

პინგვინები, ხშირ შემთხვევაში, ანტარქტიდის კონტინენტზე ბინადრობენ, მაგრამ რადგან ადვილად ეგუებიან ნებისმიერ გარემო პირობებს, შესაბამისად დედამიწის სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა ბუნებრივ პირობებშიც გვხვდებიან.

დედამიწაზე პინგვინების 17 სახეობაა გავრცელებული. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან ზომით, ნისკარტით, ბუმბულის შეფერილობითა და საცხოვრებელ ადგილზე შეგუებულობით.

პინგვინების უმრავლესობის ძირითადი შეფერილობა შავი და თეთრია. ამ მხრივ გამონაკლისია მცირე პინგვინი – მისი ფერები ლურჯი და თეთრია. ზოგიერთ სახეობას მკერდსა და თავზე შავი ზოლები გასდევს, ზოგსაც თავზე კაშკაშა ფერის ქოჩორი ან ყურებთან ბუმბული ამშვენებს. ყველაზე ლამაზი და დიდია სამეფო პინგვინი, მას საიმპერატორო პინგვინსაც ეძახიან. ის დანარჩენებისგან ყვითელი ყელით გამოირჩევა.

ყველაზე უცნაური და იშვიათია სამხრეთ-აფრიკული პინგვინი. მას ვირ-პინგვინსაც უწოდებენ, რადგან მისი ხმა, წამოძახილი ძალიან ჰგავს ვირის ყროყინს. იგი მხოლოდ და მხოლოდ აფრიკაში, ნამიბიის სახელმწიფოსთან ახლოს ბინადრობს. ზურგი და კეფა შავი აქვს, გული კი თეთრი შავი ზოლებით. თვალბთან მოვარდისფერო ლაქებს შენიშნავთ. დღეს აფრიკული ვირ-პინგვინა გადაშენების პირასაა.

პინგვინი ფრინველია, მაგრამ სხვა ფრინველებისგან განსხვავებით, სიარულისას შეუძლია სხეული ვერტიკალურ მდგომარეობაში დაიჭიროს. ის ნელა, მოუხეშავად და სასაცილოდ დაბაჯბაჯებს. სამაგიეროდ, ძალიან სწრაფად ცურავს წყალში სწორედ იმ ფრთების დახმარებით, რომლითაც ფრინველები ცაში ფრენენ.

**გონებრივი იერიშის რუკა** – 3წთ.

ტექსტზე მუშაობის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი დაფაზე აკრავს პოსტერს. მასზე გამოსახულია „გონებრივი იერიშის რუკის“ სქემა, რომლის ცენტრშიც მოთავსებულია პედაგოგის მიერ შექმნილი „აფრიკული პინგვინის“ ილუსტრაცია. მასწავლებელი დავალებას აძლევს მთელ კლასს, სამხრეთ-აფრიკული პინგვინის ძირითადი მახასიათებლებით ერთობლივად შეავსონ „გონებრივი იერიშის რუკა“. მასწავლებელი კლასს მიმართავს კონკრეტული შეკითხვებით:

- რა დაგამახსოვრდათ „აფრიკულ პინგვინზე“?
- რით გამოარჩევდით მას დანარჩენი, სხვა სახეობის პინგვინებიდან?

მოსწავლეები მორიგეობით გადიან დაფასთან და ჩანიშნების გამოყენებით, ფერადი მარკერებით (რათა თითოეული სიტყვა, ფრაზა იყოს გამოჩენილი ყოველი მეორისგან) ავსებენ გონებრივი იერიშის რუკას.


დროის დაზოგვისა და გაკონტროლების მიზნით, მასწავლებელს შეუძლია ბავშვების მიერ ნაკარნახევი სიტყვიერი ჩანიშვნები „გონებრივი იერიშის რუკაზე“ ჩანეროს თავად.

## მადიანობიკა

### მოსწავლეთა მიერ სავარაუდოდ შევსებული „გონებრივი იერიშის რუკა“

- დაცურავს სწრაფად;
- იკვებება თევზით;
- ფრთებს ცურვისთვის იყენებს;
- ცხოვრობენ კოლონიებად;
- გადაშენების პირასაა;
- ფრთებს ცურვისთვის იყენებს;
- ვირივით ყროყინებს;
- სასაცილოდ დადის;
- შავ-თეთრი შეფერილობისაა;
- ფრთები აქვს, მაგრამ ვერ დაფრინავს;
- მრავლდება კვერცხით.

### მოსწავლეთა ნამუშევარი



### ჯგუფური მუშაობა – 10წთ.

მოსწავლეთა კლასს ჰყოფს სამ ჯგუფად და თითოეულ ჯგუფს არქმევს შესაბამის სახელს, თან მერხზე დებს სხვადასხვა ფერის თაბახის ფურცელზე დაწერილ მინიშნებას: I ჯგუფი – მწერლები, II ჯგუფი – ჟურნალისტები და III ჯგუფი – პიარმენეჯერები. თითოეულ ჯგუფს აძლევს კონკრეტულ დავალებას შესაბამისი ინსტრუქციით.

| ჯგუფი          | ინსტრუქცია  |
|----------------|---|
| მწერლები       | ინფორმაციის წყაროზე დაყრდნობით (ვიდეომასალა, ტექსტი, ჩანიშვნები) დაწერონ მოკლე საინფორმაციო საგაზეთო ტექსტი: „ზოოპარკის ახალი ბინადრები“.                                   |
| ჟურნალისტები   | ჯგუფის წევრებმა მოიფიქრონ და დაწერონ შეკითხვები საგაზეთო პასუხებით და მოამზადონ ინტერვიუ ზოოპარკის ახალ ბინადართა მომვლელთან – დავითთან.                                    |
| პიარმენეჯერები | შექმნან სარეკლამო ბანერი საზოგადოების დასაინტერესებლად, სადაც განათავსებენ ილუსტრაციას ან აპლიკაციას, მოკლე ინფორმაციულ ტექსტებს, „სლოგანებს“ აფრიკული პინგვინების შესახებ. |

ჯგუფური მუშაობის მსვლელობის დროს, მოსწავლეთა პერიოდულად მიდის თითოეულ ჯგუფთან და ყურადღებით აკვირდება მუშაობის პროცესს. თუ საჭიროა მოსწავლეთა შეახსენებს კიდევ ჯგუფური მუშაობის წესებს: მოუსმინონ ერთმანეთს, ითანამშრომლონ და აქტიურად ჩაერთონ დავალების შესრულებაში.

### პრეზენტაცია – 10წთ.

ჯგუფური მუშაობის დასრულების შემდეგ პედაგოგი თითოეულ ჯგუფს სთხოვს წარადგინოს ორ-ორი მოსწავლე, რომლებიც პრეზენტაციას გაუკეთებენ მათ მიერ შესრულებულ დავალებებს. თან მითითებას აძლევს ჯგუფის წევრებს, ყურადღებით მოუსმინონ ერთმანეთის პრეზენტაციებს.

### ჯგუფების მიერ წარმოდგენილი სავარაუდოდ პრეზენტაციები:

#### მწერლები

#### საგაზეთო წერილი „ზოოპარკის ახალი ბინადრები“

„თბილისის ზოოპარკში ბრიტანეთიდან 19 აფრიკული პინგვინი ჩამოიყვანეს. ზოოპარკის ახალ ბინადრებს ქართველი მომვლელები ეყოლებათ. მათ კარგად იციან, როგორ უნდა მოულონ ჩვენი ზოოპარკის სტუმრებს. აფრიკული პინგვინი, სხვა პინგვინების მსგავსად, მრავლდება კვერცხით და იკვებება თევზით. ფრთების გამოყენებას აფრიკული პინგვინი ცურვისთვის კარგად იყენებს. აფრიკული პინგვინი, დანარჩენი პინგვინებისგან განსხვავებით, არ არის ანტარქტიდის ბინადარი. მისი სამშობლო სამხრეთ აფრიკაშია. იგი უცნაურ ხმებს გამოცემს, თითქოს, ვირი ყროყინებსო. ამიტომ მას „ვირ-ყროყინა“ პინგვინსაც უწოდებენ. სამწუხაროდ, აფრიკული პინგვინი გადაშენების პირასაა და მას კარგი მოვლა სჭირდება. ზოოპარკის ახალი ბინადრები მოუთმენლად ელიან მნახველებს.“

#### ჟურნალისტები

#### ინტერვიუ პინგვინების მომვლელთან

**ჟურნალისტი:** პინგვინების რომელი სახეობა ჩამოიყვანეს ზოოპარკში?

**დავითი:** მოგესალმებით. ზოოპარკს ესტუმრენ აფრიკული „ვირ-ყროყინა“ პინგვინები.

**ჟურნალისტი:** ვირ-ყროყინას რატომ ეძახიან?

**დავითი:** პინგვინის ეს სახეობა უცნაურ ხმებს გამოცემს, ვირის ყროყინის მსგავსად და სწორედ ამიტომ ეძახიან ვირ-ყროყინას.

**ჟურნალისტი:** ზოოპარკში რა პირობებში იცხოვრებენ პინგვინები?

**დავითი:** აქ მათ დავახვედრეთ ლამაზი პინგვინარიუმი დიდი აუზითა და ქვიშიანი სანაპიროთი, სადაც თხის საბუდრებია მოწყობილი.

**ჟურნალისტი:** რითი იკვებებიან თქვენი პინგვინები?

**დავითი:** ჩვენი პინგვინები, სხვა პინგვინების მსგავსად, ძირითადად, თევზით იკვებებიან.

**ჟურნალისტი:** რითი განსხვავდება აფრიკული პინგვინი სხვა პინგვინებისაგან?

**დავითი:** პინგვინები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ბუმბულის შეფერილობით, ნისკარტით, ზომით და სხვადასხვა ადგილზე ცხოვრებით წესით.

**ჟურნალისტი:** როდის შეძლებენ ბავშვები პინგვინების მონახულებას?

**დავითი:** პინგვინების ნახვა დღესაც შეგიძლიათ, ისინი თბილისის ზოოპარკში მოუთმენლად გელიან.

**ჟურნალისტი:** დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის.

#### პიარმენეჯერები


#### სარეკლამო-საინფორმაციო ბანერი ფოტო




#### ინფორმაციული ტექსტის ნიმუშები

- **ნივინი პირიპით ყროყინებან და სასაცილოდ დაბაჯბაჯბან...**
- **ფრთებით ცურავს კარგად და სწრაფად ცურავან...**
- **ფრინველი კია, მამრამ სიცოცხლის უმეტეს ნაწილს წყალში ატარებს...**
- **გაგონებამთ, თითო პირანგებზე შავი პირანგები მოუცვამთ...**
- **პატარა კაცუნებს ჰგვანან...**
- **გინდათ, გაიცნოთ?**
- **ჰოდა, აფრიკული პინგვინები თბილისის ზოოპარკში მოუთმენლად გელიან!**

#### მოსწავლეთა ნამუშევარი



თითოეული ჯგუფის პრეზენტაციის დასრულებისთანავე მოსწავლეთა შეფასებას ახდენს აპლიკაციური მინიშნების გამოყენებით, რომელიც ძალიან მოსწონთ ბავშვებს.




#### გაკვეთილის შეჯამება, უკუკავშირი.

#### საშინაო დავალება – 3წთ.

პრეზენტაციების დასრულების შემდეგ მოსწავლეთა ახდენს საგაკვეთილო პროცესის უკუკავშირს, საბოლოო შეჯამებასა და შეფასებას.

მოსწავლეთა ეკითხება:

- როგორ შეაფასებენ ისინი დღევანდელ გაკვეთილს?
  - რა გაიგეს მათთვის ახალი და საინტერესო?
  - რომელი აქტივობა მოეწონათ ყველაზე მეტად?
  - რომელი გაუძნელდათ და რატომ?
- მოსწავლეთა იძლევა განმავითარებელ შეფასებას კომენტარის სახით და მოსწავლეთა ეუბნება, რომ ისინი აქტიურად იყვნენ ჩართული საგაკვეთილო პროცესში, კარგად გაართვეს თავი თითოეულ აქტივობას და საინტერესოდ წარმოადგინეს მათ მიერ შესასრულებელი დავალებები. ამის დასტურად თითოეულ მოსწავლეს ურიგებს მის მიერ დამზადებულ წამახალისებელ აპლიკაციურ სიმბოლოებს.



მოსწავლეთა სამივე ჯგუფში ინდივიდუალურად არიგებს საშინაო დავალების წერილობით შეტყობინებას და თან მოსწავლეთა ხმამაღლა აცნობს მის შინაარსს:

**დავლება:** მოიძიე უფრო ვრცელი ინფორმაცია ზოგადად პინგვინებზე (მათ ქვევებზე, თვისებებზე, ცხოვრებაზე). დავალების შესასრულებლად შეგიძლიათ დაიხმართო ვებგვერდი: <https://www.google.ge/webhp?sourceid=chrome-instant&ion=1&espv=2&ie=UTF-8#q=%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98>

#### შეფასების ინსტრუმენტები:

#### შეფასების სქემა

| ინდიკატორები  | მოსწავლეთა შეუქმნა  |
|---|---|
| ტექსტის აღქმა, ინფორმაციის კლასიფიცირება და შინაარსის გადაცემა. | • ადეკვატურად აღიქვამს არამხატვრული ტექსტის შინაარსს, ახარისხებს და აჯგუფებს ინფორმაციას კონკრეტული ნიშნით, ფილტრავს ტექსტს, გამოყოფს და გადმოცემს ტექსტის მთავარ საკითხებსა და შინაარსს. |
| მცირე ზომის ტექსტის შეთხზვა და გაფორმება.                       | • მოსწავლე შესაფერისი ლექსიკის გამოყენებით ადგენს მიზნობრივ, ლაკონურ, მარტივ ტექსტებს და აფორმებს სათანადოდ (ილუსტრაციით, ასოციაციით, პიქტორამით და ა.შ.).                                |
| საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები.                                     | • ჩამოწერს შეკითხვებს წარმოსახვითი ინტერვიუსთვის – შესაბამისი ტექსტის მიხედვითა და შესაფერისი ლექსიკის გამოყენებით.<br>• მეტყველებს გარკვევით და მკაფიოდ.                                 |
| აღწერს ცხოველის ნიშან-თვისებებსა და ქცევას.                     | • აკვირდება პინგვინების გარეგნულ ნიშნებს და ქცევას.<br>• საინფორმაციო წყაროებზე დაყრდნობით აღწერს ყველა თვისებას და უკავშირებს ქცევას.  |

თვალსაზრისი

# ტერმინ „ულუმბოს“ გაბეზისათვის

როგორც ცნობილია, სკოლებში, საბაზო საფეხურზე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავის“ შესწავლას. ამ ნაწარმოების სრული ათვისება კი შესაძლებელია მათე საუკუნის საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიული ტერმინოლოგიის ცოდნით. ჩემი სტატიის მიზანია, წარმოვიდგინოთ აღნიშნულ პოემაში მოცემულ გეოგრაფიულ ტერმინ „ულუმბოს“ ჩემი კვლევის შედეგად მიღებული ვარაუდი.

სიტყვა „ულუმბო“ სასკოლო სახელმძღვანელოში (მე-7 კლ. „დიოგენე“) მოცემული განმარტებით ნიშნავს „ოლიმპოს“, რომელიც მცირე აზიაში, ბითონიაში მდებარეობს. ჩემი კვლევის კი, ულუმბა საქართველოში, დასავლეთსა და აღმოსავლეთის გზაგასაყართან მდებარეობს, ლიხის (ახლანდელი რიკოთის) გადასასვლელთან, სოფელ ხევის აღმოსავლეთით, 5 კილომეტრში, ზღვის დონიდან 1062მ-ზე.

ერთხანს ბევრი მეცნიერი და მკვლევარი ეცადა მიეკვლია ულუმბოს მთისა და მიქაელ ულუმბოლის სავანესათვის, მაგრამ ამაოდ. ისინი ეძებდნენ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში მდგარ შუა საუკუნეების ულუმბოს მონასტრებში, ცხადია, ვერ ნახავდნენ იქ მიქელის საძვალეს, რადგან მე-6 საუკუნის ულუმბოს მონასტერი ლიხის მცირე მთაზე იდგა. ლიხზე გაშენებული სოფლები, რომლებიც ხევის ხევის სახელწოდებით იყო ცნობილი, ხან აღმოსავლეთის და ხან საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში იყო. საბჭოთა კავშირში საძველო შეიქმნა მკვლევარებისათვის ულუმბოს მოძიება, რადგან იგი უკვე მივიწყებული იყო, ხოლო მის მაგივრად იქ ქართლის ერისთავის – ქუცნა ამირეჯიბის მიერ მე-15 საუკუნეში თითქმის ხელახლა აშენებული „ქუცუმას“ ეკლესია იდგა, მერე კი – 1946 წელს გიორგი გრიგალაშვილისა და მისი თანასოფლელებისაგან აღდგენილი წმინდა გიორგის სალოცავი. ულუმბოს მთას ლიხზე და ულუმბოს მონასტერს ამ დროს მოხსენიებდნენ „ქუცუმას“ მთისა და „ქუცუმას“ ეკლესიის სახელით, რამაც მეცნიერები, ცხადია, დააბნია და ძველი მისაგნები გახდა მათთვის ახლა უკვე ტერიტორიულად დასავლეთ საქართველოს მიკუთვნებული როგორც ულუმბოს მთა – ლიხზე, ისე ულუმბოს მონასტერი და თვით მიქელ ულუმბოელის საფლავი.

საბჭოთა პერიოდში, სასულიერო ცხოვრებას ჩამოშორებული ადამიანები, ობიექტური მიზეზების გამო, ერიდებოდნენ საეკლესიო თემებზე საუბარს, ვინც იცოდა საქმის ნამდვილი ვითარება, კომუნისტური რეჟიმის გამო გაჩუმებას არჩევდა. ახლა ჩემი მიზანი სწორედ ისაა, დავასაბუთო, რომ ულუმბო ნამდვილად საქართველოშია და არა მცირე აზიაში. გავიხსენოთ აკ. წერეთლის პოემის სტროფები, სადაც ულუმბოა ნახსენები:

1. „მხედართმთავარ-უხუცესად იყო მაშინ იოვანე, შედეგში რომ ბერად შედგა, დღეს ულუმბოს აქვს სავანე.“
2. „მაგრამ როცა საქართველო ნახა გმირმა დამპყდებით, სხვა მალალ მთას მიაპურა, გალობით და ღვთის დიდებით.“
3. „აქვე მოსულა ულუმბოთ, იოვანეცა ქართველი და მორჩილობის დროსავე გასთქმია დიდი სახელი.“
4. „ულუმბოსავე გაითქვა მათი სინძინდის სახელი; არ ასვენებდნენ: დღითიდღე ემატებოდათ მნახელი.“

პოემაში აღწერილი ფაქტების მისი ისტორიული პირველწყარო, გიორგი მთაწმინდელის „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“ გვიდასტურებს: იმ დროს „დიდი თორნიკე თვისა ქვეყანასა მონაზონ იქმნა“, „რადგან იოანეს შესახებ გაიყო, ვითარმედ ულუმბათა შინა არს, და, ვინაითგან ფრიადი სიყვარული აქვდა მისსა მიმართ“, გაემგზავრა ულუმბოს... „და ცნა, ვითარმედ მთაწმინდას არს და თვინიერ ცნობისა მეფეთასა იდუმალ მთაწმინდას მოვიდა და კურთხევაი მონაზონებისაი ხელთაგან იოანესთა მიიღო“. სარდლადყოფილი: ჯერ იოვა-

ნე, შემდეგ კი თორნიკე მოერიდნენ ქართლში თავიანთ გაზრდილ-ერთგულებს, რადგან ერიდებოდნენ „დიდებასა კაცთასა“ და ამიტომ საქართველოს ე.წ. მცირე მთიდან – ულუმბოდან – უფრო დიდ მთას – მთაწმინდას – მიაშურეს საბერძნეთში. რაც შეეხება ოლიმპოს, ვფიქრობ, საერთო არაფერი არ უნდა ჰქონდეს ტერმინ ულუმბოსთან. თანაც ცნობილია, რომ ტიმოთე გაბაშვილმა გამიზნულად იმოგზაურა ოლიმპოში, მაგრამ მოგზაურობის შემდეგ ვერაფერს მიაკვლია იქ მოღვაწე ქართველების შესახებ, არა და ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, მცირე მთაზე – ლიხზე მდებარეობს ულუმბა, სადაც მე-6 საუკუნის შუაწლებში მონასტერი დაუარსებია მიქელ ულუმბოელს, ერთ-ერთ ასურელ მამას, რომელიც შემდეგ იქვე დაუკრძალავთ.

დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი დიდი საქარავნო გზა, ლიხის მთით, სწორედ ულუმბოს მონასტერთან გადადიოდა („ქეგლის მეგობარი“).

„ქართლის ცხოვრებაში“ არაერთგზის არის ნახსენები მცირე მთა, მაგ.: „ფარნავაზ... ერთი ვაგზავნა მარგვს ერისთავად და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი“; „და იყო მაშინ საზღვარი სამეფოსა მთა მცირე ლიხითა“ და ა.შ.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ჭერათხევის „ხევის ზეით არს მონასტერი ულუმბას, უგუმბათო, დიდი, დიდშენი, მიქელ ი-გ მამათაგანის ქმნილი და დაფლული არს მიქელ მუნევი. ზის წინამძღვარი.“

ვახუშტი ბატონიშვილის ნივთში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ვკითხულობთ: „სურამის დასავლეთ ლიხის მთას გასდის ხევისნი-ხევის წყალი და მიერთვის ძირულას აღმოსავლეთითადა... და უწოდებენ ვერტყვილიდამ ნადაბურამდე ხევისნი-ხევისა, და მის ზეით არს ულუმბოს მონასტრისა, არამედ ან მიხმულ აქუს იმერთაგან, გარნა აძღვევენ ცვილისა, ზეთისა და საკმლის ფასსა ანცა.“

ივანე ჯავახიშვილი დაწვრილებით გადმოგვცემს, თუ რა სავალალო შედეგი მოჰყვა საშობი დამპყრობლის, თემურლენგის ლაშქრობას ლიხზე:

დაუნგრეგია ულუმბოს მონასტერი, მასთანავე მასთან ახლოს მდებარე სოფელიც, რომლის მცხოვრებ გრიგალაშვილებს, მეფესთან შეფიცულებს, მტერი ლიხი-ლოდორა-შორაპნის მიმართულებით გადაურეკავთ, თვითონ გადარჩენილებს, აოხრებულ ტერიტორიიდან ტყის შუაგულსაკენ გადაუნაცვლებით, სოფლისთვის გრიგალათი უწოდებთ, რადგან გრიგალაშვილი იყვნენ წარმოშობით. მამაპაპურ ადგილებზე კი პატარა ქოხები მოუფოხავთ, ნასოფლარზე ყანების და ხეხილის მოსავლელად ადიოდნენ (ხვის დროს, მოგვიანებით, ნაპოვნია მე-11 საუკუნის თიხის ნაკეთობანი მრგვლოვანი წარწერებით, რომლებიც ხარაგაულის მუზეუმშია დაცული).

ისტორიული წყაროებით და ჩემი წინაპრების გადმოცემით, ულუმბოს დანგრეული მონასტრის ადგილას, მე-15 საუკუნეში ქუცნა ამირეჯიბის თითქმის ხელახლა აშენებია ეკლესია (სწორედ ამიტომ შემორჩა მთას და ეკლესიას დღემდე მისი სახელი). „მანვე შესწირა ულუმბოს მონასტერს დიდძალი ყმა-მამული ლიხის ქედის ორივე მხარეს“. ლეკიანობის ფაშა ქუცნა ამირეჯიბის მიერ აგებული ეკლესია კვლავ დაზიანებულია. მეორე მსოფლიო ომის დროს სანგარში მყოფ გიორგი გრიგალაშვილს გამოცხადებია წმინდა გიორგი და უთქვამს: თქვენს ნასოფლარზე დაზიანებული სალოცავის ნაცვლად ჩემი სახელობის ეკლესიას თუ ააშენებ, გადავარჩინო. დასთანხმებია გიორგი. იმ დღეს დაუბობავთ სანგარში, მხოლოდ გიორგი და მასთან ერთად ჩახუტებული თანამებრძოლი გადარჩენილა. ომიდან დაბრუნებულ გიორგის დაურაზმავს მოსახლეობა, ასულან ლიხზე, ულუმბოს მთაზე და 1946 წელს, გიორგი გრიგალაშვილის მზრუნველობით, ეკლესიისთვის გამოუცვლიათ სახურავი, აღუდგენიათ სალოცავის

კედლები, ხოლო 1974 წელს 800 მეტრის მანძილიდან გამოუყვანიათ სასმელი წყალი (მიქელი – მარიამ კონსტანტინეს ასული გრიგალაშვილი, 96 წლის).

გრიგალაშვილთა შთამომავლები ხშირად ამბობენ, რომ სალოცავს სწყინს „ქუცუმათი“ მოხსენიება, უნდა წარმოვთქვათ „სამების წმინდა გიორგი ჯვარპატიოსანი“ (მიქელი – ვარა გელაშვილი, ვერტყვიჭალა).

2006 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში „განათლება მდგრადი განვითარებისათვის“ მივიღე მონაწილეობა თემით: „წმინდა გიორგის სალოცავი მტრისაგან განადგურებულ სოფელში“. პირველ ეტაპზე გავიმარჯვეთ, შემდეგ კი, ობიექტური მიზეზების გამო, ვეღარ მივიღეთ მონაწილეობა; ასევე 2012 წელს სასწავლო-პრაქტიკულ კონფერენციაზე „რწმენა ჩვენს ცხოვრებაში“ წარმატებით ჩავებით თემით: „ულუმბოს მონასტრის ბედი“.

ულუმბოს მონასტრის ისტორიით დაინტერესდნენ სამების საკათედრო ტაძრის სასულიერო პირები. მამა პახუშის დიდი მონდობებით, გულმოდგინებით და ღვთის შეწევნით მცირე მთა ლიხზე (ულუმბოზე) მამათა მონასტრის გრანდიოზული შენობა წამომართეს. იქვე ულუმბოს მონასტრის ნანგრევები შემოგვცქერის, როგორც ჩვენი წინაპრების გმირული ისტორიის უტყვი მონმე.

ყოველ 6 მაისს, ლიხის ქედზე, საქართველოს ყველა კუთხიდან მოდიან გრიგალაშვილები და აღნიშნავენ გიორგობას.

ძველი და ახალი მეცნიერული თუ ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ საქართველოში მე-9, მე-10 საუკუნეებში ჩქეფდა ბერ-მონაზვნური ცხოვრება და რა გასაკვირია, ევროპასა და აზიის დამაკავშირებელ უმნიშვნელოვანეს საქარავნო გზასთან მდებარე მონასტერ ულუმბოში რომ მორჩილობის დროსვე გაეთქვათ სახელი დიდ იოვანეს და თორნიკეს, მით უმეტეს, „სამეფო სადგომთან, ე.ი. ნალვლის თავთან“ (ქ.ც.ტ. IV) ტერიტორიულად ახლოს იყვნენ.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ლიხის მთათა შორის ყველაზე დიდი მთაა გლუ. ჩვენმა წინაპრებმა ეს სახელი, ალბათ, სწორედ სიდიდის გამო შეარქვეს. ულუ ხომ ყველამ იცის, რომ უფროსს ნიშნავს!

მთა გლუს თითქმის ებმის ულუმბა, ანუ მცირე მთა. ჩემი მოსაზრებით, ტერმინი ულუმბა შესაძლებელია მიღებული იყოს შემდეგნაირად: გლუ+მბა=გულუმბა=ულუმბა (ზმნის სანყისი ფორმა „მბა“ შეცვლილია „მბა“ იმერული დიალექტით, რის შედეგად მიღებულია: „გულუმბა“). ფონეტიკური მოვლენების („გ“ ბგერის დაკარგვა, „ბ“ და „მ“ ბგერების გადასმა) შედეგად მივიღებთ ტერმინ ულუმბას.

მთა გლუ იმითაც არის აღსანიშნავი, რომ მასზე არის ჩამქრალი ვულკანი. ასეთი ორი ვულკანი ყოფილა (ვახტანგ შუბითიძის თქმით) საჩხერის მუნიციპალიტეტში, ულუმბოსთან, გორაძირს. ჩვენი წინაპრების გადმოცემით, უძველეს დროს ამ ვულკანების შიშით აერილან აქედან და ნასულან ესპანეთში, ისინი ბასკების სახელით არიან ცნობილი. გიორგი მთაწმინდელის „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში“ ვეცნობით, რომ იოვანესა და ექვთიმესა და დაუბირებიათ ესპანეთში ნასვლა, მაგრამ სხვა საქმე გამოჩენიათ და გადაუფიქრებიათ.


ამ ინფორმაციის მოწოდება იმდენად გადამწყვეტე, რომ ვფიქრობ, ულუმბო და მასთან დაკავშირებული ისტორიები უცხო არ იქნებოდა მე-10 საუკუნეში მოღვაწე ბერებისათვის, როგორცაა „თორნიკე-ქართველი“ და „დიდი-იოვანე“.

### ზაირა ხაჩიძე

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა

### ინფორმაცია

# ქართველი მოსწავლეების წარმატება



ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაბრუნდნენ ქართველი მოსწავლეები ჟაუტიკოვის სახელობის მე-13 საერთაშორისო ოლიმპიადიდან ინფორმატიკაში, მათემატიკასა და ფიზიკაში. ოლიმპიადა, რომელიც ყაზახეთში, ალმატიში, 14-17 იანვარს, გაიმართა, ყოველწლიური გუნდურ-ინდივიდუალური შეჯიბრია. წელს ოლიმპიადაში 16 სახელმწიფოს

- 60-მდე გუნდი მონაწილეობდა. ოლიმპიადის მოთხოვნების შესაბამისად, თითოეულ გუნდში უნდა იყოს არა უმეტეს 7 წევრისა, აქედან 1-2 – ჯგუფის ხელმძღვანელი, 3 წევრამდე – მათემატიკაში, 2 წევრამდე – ფიზიკა-ინფორმატიკაში. ოლიმპიადის ოფიციალური ენა – ყაზახური, რუსული და ინგლისური.
- წელს ჟაუტიკოვის სახელობის მე-13 საერთაშორისო ოლიმპიადაზე საქართველოს კომაროვის, ვეკუას, ქუთაისის 41-ე და დემირელის სკოლების გუნდები წარმოადგენდნენ.
- გუნდურ შეჯიბრში** კომაროვის სკოლამ მესამე პრიზი აიღო, რეიტინგში მეხუთე ადგილზე გავიდა და მეოთხედ გახდა ამ ოლიმპიადის პრიზიორი, გუნდის ხელმძღვანელები – **მიხეილ გაბესკირია, ალექსანდრე ლომაძე.**
- ინდივიდუალურ შეჯიბრში** ქართველმა მოსწავლეებმა 12 მედალი მოიპოვეს:
- ❖ **ალექსანდრე საათაშვილი** – მათემატიკა, ოქრო (კომაროვი);
  - ❖ **ვანო გამეზარდაშვილი** – ინფორმატიკა, ოქრო (კომაროვი);
  - ❖ **საბა ლეფსვერიძე** – მათემატიკა, ვერცხლი (კომაროვი);
  - ❖ **დავით თათოშვილი** – მათემატიკა, ვერცხლი (ვეკუა);
  - ❖ **გელა ბატაშური** – ფიზიკა, ვერცხლი (კომაროვი);
  - ❖ **ალექსანდრე ხონიაშვილი** – ინფორმატიკა, ვერცხლი (კომაროვი);
  - ❖ **გიორგი კლდიაშვილი** – ინფორმატიკა, ვერცხლი (დემირელი);
  - ❖ **ირაკლი შალიბაშვილი** – მათემატიკა, ბრინჯაო (ვეკუა);
  - ❖ **ალექსანდრე ონიანი** – მათემატიკა, ბრინჯაო (ქუთაისის რაზმაძის სკოლა);
  - ❖ **ზურაბ ჯაში** – ფიზიკა, ბრინჯაო (ვეკუა);
  - ❖ **კონსტანტინე გაგნიძე** – ფიზიკა, ბრინჯაო (კომაროვი);
  - ❖ **ალექსანდრე ხარაბაძე** – ინფორმატიკა, ბრინჯაო (ვეკუა).

ინფორმაცია

# ახალი აკლიკასია უფროსკლასელთა დასახმარებლად

ლუკა ლომთაძე:

„გადავწყვიტეთ, შეგვექმნა თანამედროვე გზა ქართველი აბიტურიენტებისთვის, რათა მომზადებულიყვნენ ეროვნული თუ საატესტატო გამოცდებისთვის. დღევანდელი ცხოვრება წარმოუდგენელია ტექნოლოგიების გარეშე. დავინახეთ რა ქართველ უფროსკლასელებში ამის საჭიროება, შევქმენით მობილური აპლიკაცია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ელექტრონული ტესტირების გავლა, NAEC-ის მიერ მოწოდებული ტესტური დავალებებით. მომავალში, აპლიკაციის ახალ ვერსიაში, იგეგმება დახვეწილი მონაცემთა ბაზის და კომუნიკაციის ახალი საშუალებების დანერგვა.“



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (აშშ) კომპიუტერული ინჟინერიის ფაკულტეტის სტუდენტებმა – დავით სოსელიამ, ანდრო გვივრაძემ, გიგა ვაშაყიძემ, ნიკა მინაშვილმა და ლუკა ლომთაძემ შექმნეს აპლიკაცია, რომელიც აბიტურიენტებს XI-XII კლასების საატესტატო გამოცდებისთვის კითხვების ნიმუშებსა და გამოცდების პროგრამას სთავაზობს. მეორეკურსელთა აპლიკაცია დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულყოფაში დაეხმარება. პროექტმა უკვე გაიარა ტესტირება და მომხმარებლებისგან დადებითი შეფასებაც (რეიტინგი 5/5) დაიმსახურა.

სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი უნიკალური პროგრამაა, რომლის საშუალებითაც სტუდენტები ორ უნივერსიტეტში, ერთდროულად, არიან ჩარიცხული: ამერიკაში – კალიფორნიაში და აქ, საქართველოში – ან თსუ-ში, ან ილიაში, ან ტექნიკურ უნივერსიტეტში. ახალგაზრდებს დიდი გეგმები აქვთ, პირველი ეტაპი არსებული აპლიკაციის გაუმჯობესებაა, შემდეგ კი, წინ ახალი პროექტები და გამარჯვებობა.

## ჩვენს ღვინვით მათ ჩვენი თანადგომას სჭირდებათ

„მოგესალმებით ჩვენთვის ესოდენ ძვირფასო და საყვარელო ადამიანებო, ბებიებო და ბაბუებო, პატივცემულო სტუმრებო. ჩვენ სიხარულით მოვედით თქვენთან, რომ მოგილოცოთ შობა-ახალი წელი.“

გისურვოთ დიდი ხნის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, სიკეთე და უღრვე სიყვარული... გიმღეროთ ღამაში სიმღერები, თქვენთან ერთად ვიცეკვოთ და ნაგიჟობით თქვენი საყვარელი ლექსები და გაჩუქეთ კიდევ ერთი ღამაში და მხიარული დღე...“

ასე დაიწყო საახალწლო ზეიმი სათნოების სახლ „კათარზისში“, რომელიც აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სახელოვნებო განათლების განყოფილებისა და აფხაზეთიდან დევნილი შემოქმედი ახალგაზრდების ინიციატივით განხორციელდა. უნდა აღინიშნოს, რომ „კათარზისში“ აფხაზეთიდან დევნილი 100-მდე ბენეფიციარი იღებს სითბოს, მზრუნველობას და ყოველდღიურ საზრდოს. მათ შობა-ახალი წელი მიულოცეს და ერთიან საქართველოში, ღვთის ნებით, მშვიდობიანი ცხოვრება უსურვეს ღონისძიების საპატიო სტუმრებმა: აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, ელგუჯა გვაზავამ, აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენელმა, შერმადინ შარიამ, ჟურნალ „რინის“ რედაქტორმა, ზაურ კალანდია, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს აპარატის უფროსმა, ნონა ქარაიამ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, თემურ ბუაიამ და სხვებმა.

ზეიმის მონაწილეებს საჩუქრები მიართვეს და ლექსებით მიულოცეს ახალი წელი მეკვლემ – საბა მაისურაძემ, სიკეთის და სიყვარულის ანგელოზებმა – თეკლე და ალექსანდრე წურნუმიძემ, ახალმა წელმა – ლუკა მახარაშვილმა, ფიფქიამ – მარიამ დემურიამ და მისმა მეგობარმა ჯუჯუბამ – ანა კოპალიანმა, დათო ჭაჭუამ, თამა იზორიამ და სხვებმა. შეკრებილებს საკუთარი ლექსები წაუკითხეს „კათარზისში“ მცხოვრებმა ქალბატონებმა: ოქუმიელმა იზო ელარჯიამ და მხატვრული კითხვის ოსტატმა ნარგიზა ჩაჩუამ; საახალწლო ფოლკლორული სიმღერები

ბი შესარულეს ქართულ ხალხურ საკრავთა ანსამბლმა „ინანამ“ (ხელმძღვანელი – მარინა კოლხიდაშვილი) და „კათარზისის“ უხუცესთა ფოლკლორულმა ანსამბლმა.

ბატონმა ელგუჯა გვაზავამ ისაუბრა „კათარზისის“ დახმარებაზე აფხაზეთიდან დევნილი ხანდაზმული, მარტოხელა ადამიანების მიმართ და მათ უანგარო თანადგომაზე. გაიხსენა „კათარზისში“ მცხოვრები სოხუმელი ქალბატონი დარეჯან ოჩიგავა და იზოლდა გობეჯიშვილი, რომელსაც მეუღლე და ერთადერთი ვაჟიშვილი სოხუმის ბრძოლებში დაღუპა და პატივი მიაგო მათ სხოვნას; ზეიმის მონაწილეთათვის ქართული და უცხოური საესტრადო სიმღერები შესარულეს ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა: თამარ საბაურმა, ქრისტი და მარია შაშიაშვილებმა, მონიკა გამისონიამ, ანა ხიდაშელმა, ნიკა მიქაევამ.

მონიკა გამისონია: „ბევრჯერ გამოვსულვარ ფილარმონიაში უამრავი მაცურებლის წინაშე, სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებზე მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ ასე გულით არავისთვის მიმღერია „ალილია“. მინდა ყველას სიყვარულით მივულოცო შობა-ახალი წლის დადგომა – მოხუცებს, მარტოხელებს, ბებიებს და ბაბუებს, ჩვენ ხომ მათი თვალისჩინი ვართ.“

თანამედროვე სამეფლისო ცეკვების (ვალსი, ჩა-ჩა-ჩა, პოპური, ესპანური, ბოშური, ჩარლსტონი) შესრულებით იქაურობა გაახალისა სამეფლისო ცეკვების გოგონათა ანსამბლმა „გაზაფხული“ (ხელმძღვანელი – ირინა მიროტაძე).

ღონისძიების დასასრულს, „კათარზისელებს“ სახელით, შეკრებილებს დღესასწაული მიულოცა და მობრძანებისთვის მადლობა გადაუხადა სათნოების სახლის პრეზიდენტის თანამემნემ, გულიკო რამიშვილმა: „მიხარია, რომ „კათარზისი“ მშობლიური სახლი გახდა იმ ადამიანებისთვის, ვისაც ჩვენი მხარდაჭერა სჭირდება. ჩვენ არ ვანსხვავებთ ადამიანებს ეროვნების მიხედვით. ყველას ერთნაირად ვუნდით ხელს და ვუქმნით ოჯახურ, მყუდრო გარემოს, რომელიც ასე სჭირდებათ ხანდაზმულ ადამიანებს. სასიამოვნოა, რომ აფხაზეთის ინტელიგენცია და ახალგაზრდობა, წლების მანძილზე, გვერდში გვიდგას ამ საქველმოქმედო საქმეში.“

ყველას გილოცავთ შობა-ახალ წელს და გისურვებთ თქვენს უღამაზეს მხარეში მალე დაბრუნებას. ქველმოქმედება ყველაზე დიდი სიკეთეა დედამიწაზე. ღვთისგან დალოცვით არიან ის ადამიანები, რომლებიც ამ სიკეთეს ემსახურებიან. მომავალ შეხვედრამდე, ჩვენო საყვარელო ადამიანებო. იცოდეთ, რომ მუდამ თქვენ გვერდით ვდგავართ, გვიყვარხართ.

თქვენ ჩვენ გვჭირდებით!“ ასეთი ტკბილი და იმედინი სიტყვებით, „ვალსის“ ერთობლივი შესრულებით და სამასოვრო სურათების გადაღებით დასრულდა საახალწლო იმედებით აღსავსე დღესასწაული „კათარზისში“.

ნონა ბირანია

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სახელოვნებო განათლების განყოფილების მთავარი სპეციალისტი



სპორტი

# შემაჯავებელი კვირეული

დეკემბრის ბოლოს, თბილისში, საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ინიციატივით, გაიმართა წლის შემაჯავებელი სპორტული ღონისძიება – თბილისის მერიის სასკოლო სპორტული კვირეული, რომლის ფინანსური ორგანიზებაც დედაქალაქის მერიის მუნიციპალიტეტის განათლების სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა. თუმცა ამ ღონისძიებას სხვა პარტნიორებიც ჰყავდა: სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, კომპანია vitamin vell და საინფორმაციო პორტალი „კვირა“.



კვირეულის პროგრამაში სპორტის შემდეგი სახეობები შედიოდა: კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, შაში, მეკლდეურობა, ფრიზბი, ბადმინტონი და გარბენი. ღონისძიება ორ ეტაპად ჩატარდა – დაიწყო რაიონული ტურნირით, რასაც ფინალური შეჯიბრებები მოჰყვა. ღონისძიებაში მხოლოდ დედაქალაქის სკოლები გამოდიოდნენ – კერძოდ და საჯაროც. ერთკვირიანი ასპარეზობების შემდეგ გამოვლინდა თბილისის სკოლების ათეული, საუკეთესო კი 120-ე საჯარო სკოლა გახდა. ამასთან, საუკეთესოთა ოთხეულში მოხვედრილი სკოლები დაჯილდოვდნენ ფულადი პრემიით, რომელიც განკუთვნილია სპორტული და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის შესავსებად. 120-ე სკოლამ ჯილდოდ 1000 ლარი მიიღო, 61-ემ – 700, 180-ემ – 400 და 90-ემ – 200 ლარი.

ამ პროექტს ორგანიზატორებმა იმთავითვე მიზნად დაისახეს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება სხვადასხვა სახალისო, საინტერესო და მოსწავლე ახალგაზრდობისთვის მიმზიდველი ღონისძიებებით, რომელშიც მოზარდები აქტიურად ჩაერთვებოდნენ. პარალელურად, ერთმანეთსაც გაიცნობდნენ და დაუმეგობრდებოდნენ. დამფუძნებელთა სურვილია, მსგავსი კვირეული ტრადიციად აქციონ, რათა ყოველწლიურად, რაც შეიძლება, მეტი ახალგაზრდა იყოს ჩართული სპორტში.

სასკოლო სპორტულ კვირეულში მონაწილეობდნენ:

1. სსიპ თბილისის №120 საჯარო სკოლა;
2. სსიპ თბილისის №61 საჯარო სკოლა;
3. სსიპ თბილისის №180 საჯარო სკოლა;
4. სსიპ თბილისის №90 საჯარო სკოლა;
5. სსიპ თბილისის №173 საჯარო სკოლა;
6. სსიპ თბილისის №114 საჯარო სკოლა;
7. სსიპ თბილისის №115 საჯარო სკოლა;
8. სსიპ თბილისის №52 საჯარო სკოლა;
9. სსიპ თბილისის №181 საჯარო სკოლა;
10. სსიპ თბილისის №103 საჯარო სკოლა.



## მედლები ხარკოვიდან

თავისუფალი სტილით მოჭიდავე ქართველმა ჭაბუკებმა წარმატებით იასპარეზეს ხარკოვში, უკრაინის დამსახურებული მწვრთნელის ლეონიდ დუნაის სსოვნის ტურნირში, რომელშიც 11 ქვეყანა მონაწილეობდა. ჩვენებმა 12 მედალი მოიპოვეს – სამივე სინჯის 4-4 ჯილდო. ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: გიორგი ჭოლაძე (42), თორნიკე ქათამაძე (58), გიორგი ელბაძე (63) და ელგუჯა ბალანჩივაძე (100). ვერცხლის მედლები გიორგი გეგელაშვილმა (46), ბაჩუკი ქელიძემ (50), ბაგრატ გვინიძემ (69) და აკაკი გოქსაძემ (76) მოიპოვეს; მესამე საპრიზო ადგილზე კი ლუკა ქარჩხაძე (50), ვლადიმერ გამყრელიძე (54), ლუკა მარიამიძე (63) და გივი გოგობერიშვილი (85) გავიდნენ.



მოზარდებში. თუმცა ბავშვებიც ასევე რამდენიმე კატეგორიად იყოფოდნენ – თანრიგოსნებად და უთანრიგოებად. თავის მხრივ, თანრიგოსნებაში ცალ-ცალკე ასპარეზობდნენ მე-2, მე-3 და მე-4 თანრიგოსნები, თანაც, გოგონები და ბიჭები, ჭაბუკები და ახალგაზრდები – ცალ-ცალკე. ამასთან, ეს დაყოფა ვრცელდებოდა ყველა ასაკობრივ ჯგუფზე, ასეთი კი მრავლად იყო, დაწყებული 6-წლიანებიდან და ზევით. საბოლოოდ ჩემპიონ-პრიზორები 14 კატეგორიაში გამოვლინდნენ, რომლებიც თასებით, მედლებითა და დიპლომებით დააჯილდოეს. ამ ცერემონიალს ქუთაისის მათორიტარი დეპუტატი გენადი მარგველაშვილი და იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ზაზა ლომინაძეც ესწრებოდნენ. სპორტსმენებთან ერთად, დაჯილდოვდა ტურნირის 5 საუკეთესო მწვრთნელიც.

21 იანვარს იმავე საჭადრაკო სკოლაში იმერეთის ჩემპიონატი დაიწყო მოსწავლეთა სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში: 7, 10 და 14 წლამდე გოგონებსა და ბიჭებს შორის.

## საკალათბურთო კრახი

საქართველოს 15-წლამდე კალათბურთელთა ნაკრებმა მოსკოვში ევროპის ახალგაზრდული ლიგის მეორე ეტაპის შეხვედრები გამართა. სამწუხაროდ – წარუმატებლად, რადგან 5 პაექრობიდან 4 დამთო და მხოლოდ 1 მოიგო. თემურ კანკიასა და ჯაბა ბაქრაძის განვრთნილებმა მხოლოდ ბელარუსის „პრინემანიეს“ სძლია – 55:45, დანარჩენი შეხვედრებიდან კი ლიტვურ „ენაშიაუსთან“ 38:50, მოსკოვის ცსკ-თან – 46:67, სანკტ პეტერბურგის „ადმირალტისკაიასთან“ – 32:44, ხოლო ლიტვის „კლაიპედასთან“ 51:57 წააგო.

## „ბანვითარების თასზე“ პირ ბანვითარდნენ

გიორგი ნემსაძის განვრთნილმა საქართველოს 17-წლამდე ფეხბურთელთა გუნდმა ძალიან წარუმატებლად იასპარეზა მინსკში ჩატარებულ „განვითარების თასზე“, სადაც ჯგუფურ ეტაპზე ისრაელთან, უკრაინასა და ლიტვასთან ერთად მოხვედნენ. ჩვენებმა პირველი შეხვედრა ისრაელთან გამართეს და დიდი ანგარიშით წააგეს – 0:4. მდგომარეობა დიდად ვერც ლიტვასთან გამოასწორეს, იმას თუ არ ჩავთვლით, რომ ამჯერად ერთი გოლი გაიტანეს, მაგრამ ის შეხვედრაც დიდი ანგარიშით დათმეს – 1:4, ჯგუფის ბოლო ორთაბრძოლაში კი უკრაინასთანაც დამარცხდნენ, ოღონდ ამჯერად მინიმალური სხვაობით: 1:2.

ამდენად, ჩვენები ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდნენ და მედლებისთვის ბრძოლას გამოეთიშნენ. მათ მეხუთე ადგილისთვის გააგრძელეს ბრძოლა და ტურნირზე ერთადერთ გამარჯვებასაც იქ მიაღწიეს, როცა სომხეთს 3:0 მოუგეს. სამწუხაროდ, ნემსაძის შეგირდებმა მეტის გაკეთება ვერ შეძლეს და ტურნირის ბოლო შეხვედრაც წააგეს. თანაც, კვლავაც დიდი ანგარიშით – ლატვიასთან 2:5 დამარცხდნენ.



რუბრიკას უძღვება ირაპალი თაბაძე

## ქუთაისის საჭადრაკო იანვარი

ნახალწლევს ქართული ჭადრაკის ცენტრმა ქუთაისში გადაინაცვლა, სადაც ტურნირი ტურნირზე გაიმართა. მია ჩიბურდანიძის სახელობის საჭადრაკო სკოლამ ჯერ იმერეთის ჩემპიონატს უმასპინძლა სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში – უფროსებში და რამდენიმე ჯგუფად დაყოფილ

ინფორმაცია

პროფესიული სტუდენტები ახუ-დახიში გაემგზავრებიან



WorldSkills Georgia-ს მესამე ეროვნულ შეჯიბრებაში გამარჯვებულები გამოვლინდნენ. შეჯიბრება 6 პროფესიულ უნარში ჩატარდა, თითოეულ პროფესიაში პირველ ადგილზე გასული კოლეჯის სტუდენტები - ცოტნე ნაზარაშვილი (ვებ-დიზაინი), სალომე ნიქარიძე (გრაფიკული დიზაინი), ლია ლომიძე (სამზარეულო საქმე), კრისტინა პარუმოვი (საპარიკმახერო საქმე), ანა-ქრისტინე ტატიშვილი (საკონდიტრო საქმე) და ზურა შავიშვილი (სარესტორნო სერვისი), 2017 წლის ოქტომბერში, 60-მდე ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად, ახუ-დახიში დაგეგმილ WorldSkills-ის 44-ე საერთაშორისო შეჯიბრებაში მიიღებენ მონაწილეობას და ჩვენს ქვეყანას წარმოაჩენენ. გამგზავრებამდე ახალგაზრდები საერთაშორისო შეჯიბრისთვის მზადებას გააგრძელებენ.

საბერძნეთთან ურთიერთობის ახალი ეტაპი დაიწყო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა საბერძნეთის დელეგაციას უმასპინძლა, რომელსაც საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ტერენს-ნიკოლაოს ქუიკსი ხელმძღვანელობდა.

ლია გიგაურმა მადლობა გადაუხადა ბერძნულ მხარეს გასული წლის ნოემბერში საბერძნეთში მასპინძლობისთვის და კმაყოფილება გამოხატა იმ ფაქტით, რომ ათენისა და სალონიკის საჯარო სკოლებში ქართული ენის სწავლების გადამწყვეტილება იქნა მიღებული.

სამინისტროში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე დადებითად შეფასდა ქვეყნებს შორის ბოლო წლებში გააქტიურებული თანამშრომლობა და აღინიშნა, რომ კონკრეტული საგანმანათლებლო პროექტების მიმართულებით, ეს თანამშრომლობა გაღრმავდება და გაფართოვდება.

შეხვედრაზე ასევე, კმაყოფილება გამოთქვა ორივე ქვეყნის რამდენიმე სკოლაში ბერძნული და ქართული ენის გაკვეთილების დაწყების თაობაზე. დამატებით, ლია გიგაურმა იმ სიახლის შესახებაც ისაუბრა, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრო გეგმავს უცხოეთში ქართული დიასპორისთვის, კონკრეტულად - უახლოეს მომავალში, დაგეგმილია საბერძნეთში ქართულენოვანი ბავშვებისთვის სპეციალური ონლაინგაკვეთილების ორგანიზება. საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იდგა დადებითად შეაფასა და აღინიშნა, რომ მსგავსი პროგრამები მათთვისაც მისაღებია მსოფლიოში გაფანტული მრავალრიცხოვანი დიასპორისთვის ბერძნული ენის სწავლების მიზნით. დასასრულს, შეხვედრა მხარეების მიერ პროდუქტიულად შეფასდა.

„ოქსფორდ ბრუქსის უნივერსიტეტი“ ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტთან

პირველად საქართველოში, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტთან ერთად, ბრიტანული „ოქსფორდ ბრუქსის უნივერსიტეტი“ საბაკალავრო პროგრამის - ბიზნეს ადმინისტრირება-ფინანსების განხორციელებას იწყებს.

სტუდენტებს, ფინანსების მიმართულებით, მაღალი ხარისხის განათლების მიღების შესაძლებლობა ეძლევათ, ასევე, ერთი პროგრამის ფარგლებში, ორი ქვეყნის დიპლომის მოპოვების.

პროგრამის პრეზენტაცია ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სივრცეში გაიმართა, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დეკანდრე ჯეჯელავა და დიდი ბრიტანეთის ელჩი საქართველოში ჯასტინ მაკკენზი სმითი დაესწრნენ.

თბილისის სკოლების მოსწავლეების ფოტოგამოფენა



სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში, ფოტოგამოფენა „მომავლის თაობა“ გაიმართა. ფოტოებში მოსწავლეებმა წინ ნამონიეს ისეთი თემები, როგორც არის: ადამიანის უფლებების დაცვა, თანატოლთა შორის ძალადობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა, თამბაქოს მოხმარების წინააღმდეგო ქმედებები და სხვ.

სამოქალაქო განათლების პროგრამას „მომავლის თაობა“ ახორციელებს ორგანიზაცია PH International, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტროს მხარდაჭერით. პროგრამა „მომავლის თაობა“, 2014 წლის ოქტომბრიდან, საქართველოს თერთმეტივე რეგიონის 480 სკოლაში ფუნქციონირებს. თბილისში პროგრამა 60 სკოლას მოიცავს.

ლონისძიებებს ესწრებოდნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დემოკრატიის, მმართველობისა და სოციალური განვითარების ოფისის დირექტორი მონიკა აზიმი.

მოვიაჩე ჩემი მხარე, ანუ „მე-მეგზური“

12 იანვარს, საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში, გაიმართა ძალიან საინტერესო პროექტის „მე-მეგზური“ პრეზენტაცია. ეს პროექტი გაგრძელდება, უფრო სწორად, გამომხატურება საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის საერთაშორისო ურთიერთობათა კაბინეტის გამგის, ქეთი გელაშვილის პროექტისა „მე ვარ ჩემი ქვეყნის მეგზური“, რომელიც გასული, 2016 წლის ივნისში ჩატარდა თბილისში და, სხვა 13 რაიონთან ერთად, ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის „ლიდერთა კლუბის“ ორმა წევრმა გოგონამ - ანანო ქურხულმა და ეთო ტეტიაშვილმა გააკეთეს პრეზენტაცია „დავით გარეჯა“. ჩვენ ჯერ კიდევ იმ დროიდან შევუდექით პროექტის გაგრძელებაზე მუშაობას, შევიმუშავეთ დებულება და გადა-

ვუგზავნეთ ჩვენი მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლებს. პროექტის მიზანი საკუთარ მუნიციპალიტეტში არსებული ისტორიული ძეგლების, საინტერესო ადამიანების, ღირსშესანიშნავი ადგილების შესწავლა და წარმოჩინება გახლდათ. პრეზენტაცია კი მშობლიურ და რომელიმე უცხო ენაზე უნდა გაკეთებულიყო. ეს პროექტი ემსახურება არა მარტო მოსწავლე ახალგაზრდობის ინტელექტუალური და შემეცნებითი ცოდნის დონის ამაღლებას, არამედ საკუთარი ისტორიის სიყვარულს და პატივისცემას და უცხოელებისათვის გაცნობას.

და აი, იმ დღეს, საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში თავი მოიყარეს პრეზენტატორებმა სხვადასხვა საჯარო სკოლებიდან, ლიდერთა კლუბის წარმომადგენლებმა, პედაგოგებმა, საშობაო ბანაკის მონა-

წილეებმა და ყველასათვის საყვარელმა ანსამბლმა „მი-რე-ლა“, თავის ხელმძღვანელთან, მარინა ურდულაშვილთან ერთად. პრეზენტაციას ესწრებოდნენ: საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის საერთაშორისო ურთიერთობათა კაბინეტის გამგე, პროექტის ავტორი ქეთი გელაშვილი, ამავე კაბინეტის წარმომადგენლები - ელზა მერაბიშვილი და ნანა ბურკაძე, საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მანანა ცუცქერიძე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სამსახურის წარმომადგენელი ქეთი საბაზიშვილი, მონაწილე პრეზენტატორების თემის ხელმძღვანელები: ანა ჭიაბრიშვილი - საგარეჯოს №3 საჯარო სკოლის პედაგოგი; ნაზი ბერიძე - საგარეჯოს №4 საჯარო სკოლის პედაგოგი; მარინა ჭინჭარაძე - პატარძელის საჯარო

სკოლის პედაგოგი; ეკატერინე ჭიკაძე-ვეშაპიძე - დიდი ჩაღურის საჯარო სკოლის პედაგოგი. ლონისძიება გაიხსნა ანსამბლ „მი-რე-ლას“ სიმღერით „ალილო“, რომლის ტექსტისა და მუსიკის ავტორი გახლავთ ანსამბლის ხელმძღვანელი მარინა ურდულაშვილი. დამსწრე საზოგადოებას შეეხასხენეთ სასახლეში ჩატარებული იგივე პროექტი და პრეზენტატორებს დაუთმეთ არეალი. ძალიან საინტერესო პრეზენტაციები, ქართულ-ინგლისურ და რუსულ ენებზე, გააკეთეს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის „ლიდერთა კლუბის“ წევრებმა: ეთერ ტეტიაშვილმა და ეთერ ცხვარიაშვილმა - „წინონმინდა“; ლიზი გოგიშვილმა და ნინო (ნუცა) გაგნიაშვილმა - „უჯარმა“; მარიამ გაგნიაშვილმა და ნია დიდელაშვილმა - „წყაროსთვის იოაკიმე და ანას სახელობის ღვთისმშობლის ტაძარი“; გიორგი სულიკაშვილმა და სალომე ურდულაშვილმა - „პეტრე-პავლე“ (ხელმძღვანელი - ანა ჭიაბრიშვილი, ჯგუფში მუშაობდნენ აგრეთვე - ნინო ბუზარიაშვილი და თამარ დარისპანაშვილი); ნინო უსტიაშვილმა - „გვენვიეთ პატარძელში“ (ხელმძღვანელი - მარინა ჭინჭარაძე; მარიამ გურგენიძემ და მარიკა ბერულაშვილმა - „ჩემი სოფელი დიდი ჩაღური“ (ხელმძღვანელი - ეკატერინე ჭიკაძე-ვეშაპიძე); დავით მეკოკიშვილმა - „საგარეჯო“ (ხელმძღვანელი - ნაზი ბერიძე); ნათია მარხვაშვილმა - „წინონმინდა“ - პალატები მეფეთა (ხელმძღვანელი - ლეილა ფაფიაშვილი). დღე გაგვილამაზეს ანსამბლ „მი-რე-ლას“ მომღერლებმა და საშობაო ბანაკის მონაწილეებმა. პროექტის ყველა მონაწილეს გადაეცა დიპლომი და მადლობის ფურცელი.

საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი მადლობას უხდის ყველას - სტუმრებს, მასპინძლებს, მონაწილე ბავშვებს და მათ პედაგოგებს პროექტში აქტიური მონაწილეობისთვის. მადლობა აღნიშნული სკოლების დირექტორებს პროექტის მხარდაჭერისა და ხელშეწყობისთვის.

თამარ ჯაბაღარი ა(ა)იპ-ი საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი



მასწავლებლის სამუშაო რეჟიმი



მასწავლებლის სამუშაო რეჟიმი პროტოკოლი... 4 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში



ნიგნის თავმოყრილია დაწყებითი კლასებისთვის... 6.50 ლარი

კათედრის გაგების პორტფოლიო




კათედრის გაგების პორტფოლიო... 6 ლარი

ინტერაქტიული მეთოდების კრებული



კრებული ალფაბეტიკური ინტერაქტიული სწავლების მეთოდები... 6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი



კალენდარი ისა შედგენილია, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია დაგეგმოს... 5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის



ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის... 14 ლარი

მოწაფალოთ საბავშვო მათემატიკის

კრებული უახლესი პროგრამით მათემატიკის... 9.90 ლარი



ქართული ენის კრებულები... 17.70 ლარი

ნაფიცი და მათემატიკის

საჩი „ნაფიცი და მათემატიკის“... 30.40 ლარი



12 ლარი: თამაზ ვასაძე... კომპიუტერული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

10 ლარი: ფიზიკა... საბავშვო მათემატიკის

7 ლარი: ქართული ენის გრამატიკა... სინტაქსი

8 ლარი: ქართული ენის გრამატიკა... მორფოლოგია

10 ლარი: ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი

4 ლარი: თამაზ ვასაძე... ქართული აბრევიატურული პრინციპების

ბიოლოგია... ბიოლოგიის გამომდინარეობის

9 ლარი: ისტორია... საბავშვო მათემატიკის

ხელმოწერის თანხა გადმოირიცხეთ რეკვიზიტებზე: მიმღები - შპს „ახალი განათლება“...

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტაბულაშვილის ძ. №3... რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“...

ISSN 2233-386X... 9 772233 386008